სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 21 სექტემბერი | 1993 № 15 (62) | ფასი 145 კუპონი

2 ძოძუაშვილი რუსთავში
ქართული როქი

3 ჩემპიონატის შეწყვეტამდე
„სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი ფოთიდან

4 გიჯამაც ვერ უშველა
ბრაზილია და ბოლივია ფინალში

5 ძვირია ესპანეთამდე
ქართველი კეტბურთელები თამაშგარე

8 უპრობლემო სიდნეი
ზეგ 2000 წლის ოლიმპიადის დედაქალაქი დასახელდება



ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე

ფეხბურთის ფედერაცია პრესკონფერენციას აპირებს

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალაცისა და გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის მძიმე ავადმყოფობის გამო ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობას დროებით ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე განაგებს. კითხვაზე, თუ რატომ არ დაესწრო ფ.კ. „დინამოს“ მიერ მოწყობილ პრესკონფერენციას ხუთშაბათს, 16 სექტემბერს, სფფ-ის არც ერთი ხელმძღვანელი, ბატონმა ალექსანდრემ მიპასუხა: „ნოდარ ახალაცი კარგა ხანია ავადმყოფობს. ასევე ავადაა გენერალური მდივანიც, რომელსაც ზუსტად იმ დროს, როდესაც პრესკონფერენცია ტარდებოდა, გულის შეტევა დაემართა. ვინაიდან იმ წუთებში მანქანა არავის აღმოაჩნდა, მე ჩემი საკუთარი მანქანით წავიყვანე ბატონი დავითი სახლში, მანამდეც და მას შემდეგაც კი ჩვეულებრივად ვიყავი სამსახურში. ზემოთხსენებულ მომენტს დაემთხვა დარეკვა ფედერაციაში პრესკონფერენციის ერთ-ერთი მონაწილისგან. ამიტომაც ისე გამოვიდა, თითქოს ფედერაციაში არავინ იყო. რაც შეეხება იმას, თუ თავიდან რატომ არ მივედი პრესკონფერენციაზე, ეს იმ უბრალო მიზეზის გამო მოხდა, რომ ჩვენთვის ამის შესახებ ოფიციალურად არავის უცნობებია. „დინამომ“ ამ ოთხ წელიწადში რამდენიმე პრესკონფერენცია ჩაატარა და ჩვენი წარმომადგენელი თითქმის არცერთხელ არ დასწრებია მას. ვიმეორებ, ჩვენთვის ამის შესახებ წინა დღეს მაინც უნდა ეცნობებინათ.

რაც შეეხება „დინამოს“ პრესკონფერენციაზე ფედერაციის მიმართ დასმულ საკითხებს, როგორც კი ნოდარ ახალაცი გამოჯანმრთელდება, უმალვე ჩვენც მოვაწყობთ პრესკონფერენციას, სადაც დავპატიჟებთ ყველა დაინტერესებულ პირს, ჟურნალისტსა თუ გულშემატკივარს და ამომწურავ პასუხს გავცემთ მათ დასმულ ყველა შეკითხვას“.

მამუკა კვარაცხელია

მატჩები გადადებულია

დღეს უნდა გამართულიყო ერთწლიანი ჩემპიონატის IX ტურის მატჩები. როგორც სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ გვითხრა, 20 სექტემბერს პირველ ჯგუფში და 21 სექტემბერს მეორე ჯგუფში მატჩები არ ჩატარდება. საქართველოში საომარ სიტუაციასთან დაკავშირებით თამაშები ყველა ჯგუფში განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. „იმედია უახლოეს დღეებში ყველაფერი გაირკვევა და მატჩების თარიღსაც გამოვაქვეყნებთ“ — აღნიშნა სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა.

ასოციაცია „თავისუფალი პრესის“ განცხადება

1. 17 სექტემბერს დამოუკიდებელმა საინფორმაციო სააგენტო „იბერიამ“ გაავრცელა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრის განცხადება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ასოციაცია „თავისუფალი პრესა“ აცხადებს:

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრის განცხადებაში გამოთქმული პრინციპული მოსაზრება, „რომ დამოუკიდებელი პრესა ჩვენი უზარმაზარი მონაპოვარია“, რბილად რომ ვთქვათ, რეალური მდგომარეობის სხვაგვარად წარმოდგენის მცდელობაა. ჩვენ, პრესის წარმომადგენლებმა, ყველაზე უკეთ ვუწყით, ვის რა დამსახურება მიუძღვის პრესის განთავისუფლების საქმეში. პრესის თავისუფლება და დამოუკიდებლობა პირველ რიგში თავად პრესის მონაპოვარია, და თუ სხვაც მონაწილეობდა ამაში ყოველ შემთხვევაში, არა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, პრესის დამოუკიდებლობის თავის წილ მონაპოვრად მიჩნევის შემდეგ, თავს უფლებას აძლევს დააპიროს მისი გაკონტროლება და დააწესოს პრესაზე პარტიული ცენზურა. განცხადება იმის შესახებ, რომ „დღეიდან ნებისმიერ ცილისწამებასა და შეურაცხყოფაზე უკვე ისეთ პასუხს გავცემთ, როგორსაც საჭიროდ ჩავთვლით“, არის არა მხოლოდ ადამიანის უფლებების შელახვა, პრესის შეზღუდვა, არამედ წარმოადგენს განაცხადს ერთპიროვნული მმართველობის დამყარების შესახებ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრის განცხადების დასკვნითი ნაწილი „დღეიდან მხოლოდ პრესის შესახებ არასრულყოფილი. კანონის იმედად აღარ ვიქნებით“, ამხელს აღნიშნული პარტიის, რომელიც ოფიციალურ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად ითვლება, უძლურებასა და უსუსურობას, იმოქმედოს პოლიტიკური მეთოდებით და არაპოლიტიკური (იგულისხმება ძალისმიერი) მეთოდებით ცდილობს საკუთარი გავლენის გავრცელებას თავისუფალ პრესაზე.

როდესაც პოლიტიკური პარტია იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას განაცხადოს, რომ არ შეასრულებს მისი აზრით არასრულფასოვან კანონს, იმოქმედებს საკუთარი შეხედულებისამებრ, როდესაც არ არსებობს მექანიზმი, რომელიც აღკვეთდა პარტიის ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის თვითნებობას, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არსებობს დიქტატურის დამყარების რეალური საფრთხე, ხოლო აღნიშნული პარტია ან პოლიტიკური ძალა ჩავთვალოთ ორგანიზაციად, რომელსაც საკუთარი დიქტატურის დამყარება სურს.

2. ასოციაცია „თავისუფალ პრესას“ მიაჩნია, რომ აღნიშნული განცხადების ლოგიკურ გაგრძელებად იქცა იმავე დღეს, 17 სექტემბერს თავდასხმა გაზეთ „7 დღის“ რედაქციაზე. ჯერ-ჯერობით დაუდგენელმა პირებმა თავდასხმა განახორციელეს სნორედ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით. ეს გახლდათ უპრეცედენტო შემთხვევა: რედაქცია დაარბიეს დღისით, სამუშაო საათებში, გამაოგნებელი სითავხედითა და ძალმომრეობით, თავდამსხმელები არ მალავდნენ არც მიზნებს და არც იმას, თუ ვისი სახელით მოქმედებდნენ.

ასოციაცია „თავისუფალი პრესა“ გამოთქვამს უკიდურეს აღშფოთებას მომხდარის გამო, რადგან აღნიშნულ ქმედებას აფასებს არა ერთჯერად აქტად, არამედ კამპანიური და ორგანიზებული ხასიათის მქონე შეტევის დასაწყისად არა მარტო თავისუფალ პრესაზე, არამედ განსხვავებული, დამოუკიდებელი აზრის ნებისმიერ გამოვლინებაზე. ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი, რომელიც შექმნის მცდელობა, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახმარებით ხორციელდება, რაც თან სდევდა ედპ-ს პრეს-ცენტრის განცხადების გავრცელებას და გაზეთ „7 დღის“ რედაქციის დარბევას. სპეციალური მაგალითის დასახელებისათვის იკმარებდა რადიოინტერვიუ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთან გიორგი ჭანტურიასთან, რომელიც აღნიშნული განცხადების ემოციურად განვრცობილ კომენტარს წარმოადგენს.

საჭიროდ მივიჩნევთ განვაცხადოთ, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სახელმწიფო ინტერესების უზენაესობასა და დემოკრატიას ამოფარებული, გვევლინება იმ ძალად, რომლისთვისაც მთავარია პარტიული ინტერესები, ამ უკანასკნელებს კი, უმეტეს შემთხვევაში, არაფერი აქვთ საერთო ქვეყნის ინტერესებთან.

ასოციაცია „თავისუფალი პრესის“ სახელით: „რეზონანსი“, „მიმომხილველი“, „ივერია ექსპრესი“, „დრონი“, „ახალ ბაზრდა ივერიელი“, „7 დღე“

„სარბიელის“ რედაქცია სოლიდარობას უცხადებს კოლეგებს და უერთდება ამ განცხადებას

ქალთა ფეხბურთი ოლიმპიადაზე

გია ახალაძე

მონტე-კარლოში გამართულ სხდომებზე საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშების პროგრამაში სპორტის სამი ახალი სახეობა შეიტანა. ესენია: ქალთა ფეხბურთი, პლაჟის ფრენბურთი და ველოკროსი. ქალთა ფეხბურთის რვა გუნდს შეარჩევენ, რაც შეეხება პლაჟის ფრენბურთს, სადაც თამაში ორი ორზე მიმდინარეობს, ვაჟთა ტურნირში 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ქალთა ტურნირში კი — 16. ატლანტის ოლიმპიადაზე გაითამაშებენ მედალთა 269 კომპლექტს, მაშინ როდესაც გასულ ოლიმპიადაზე, ბარსელონაში 257 კომპლექტი დარიგდა. უცვლელი რჩება მონაწილეთა რაოდენობა — 10 ათასი.

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუერთდნენ ახალი ქვეყნები: პალესტინა, ბურუნდი, დომინიკელთა რესპუბლიკა, კოორის კუნძულები, მწვანე კონცხის კუნძულები, სანტომე-პრინსიპი, სენტ-ლუსი, სენტ-კიტსი-ნევისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ძოძუაშვილი: მინდა ჩემი ვალი მოვიხადო...

[illegible] ...ესთავის „მეტალურგის“ სტადიონზე „მეტალურგი“ — „დინამოს“ თამაშით დაწყებამდე საათნახევრით ადრე მივედი. ტრიბუნაზე ერთადერთი კაცი იჯდა. ძალაუნებურად გამახსენდა წელიწადნახევრის წინანდელი რუსთავის სტადიონი, როცა მთელი ქალაქი აქ მოეყარა თავი და [illegible]ბლის, სოსო არეშიძის მეთაურობით აღრიალებდნენ მინდვრის სიგრძეს, ტრიბუნებს, სავსებენ ბილიკებს, [illegible] ...

მას შემდეგ [illegible] ...ალმა [illegible] სტადიონზე [illegible] გუნდს უეფაზე [illegible] ...ულ ტურნ[illegible]

— გურამ ქოჩიაშვილს უკვე დატოვებული ჰქონდა გუნდი?

— უკვე წასული იყო. სხვათაშორის, ძალიან ვაქაციურად მიმიღო საკუთარ სახლში. ამ კაცმა თავისი ვალი, როგორც შეეძლო, ისე მოიხადა. მან ალმითქვა, რომ მუდამ ჩემს გვერდით იქნება და ბევრს გააკეთებს რუსთავის ფეხბურთისათვის. იგი ახლაც ჩვენს გვერდით ტრიალებს.

— რა სიტუაცია დაგხვედათ გუნდში?

— ახალგაზრდა, წესიერი ბიჭები არიან. იმედი მაქვს ფეხბურთის ფედერაციაც ხელს შეგვიწყობს და ნებას დაგვრთავს დაბალი ლიგებიდან ფეხბურთელების დამატებისა. ჩემი აზრით, ახალკაცი ამისთვის ყველაფერს გააკეთებს.

— რეალური სიტუაციიდან გამომდინარე თქვენი უახლესი გეგმები?

— საშიშ ზონას რამენაირად თავი უნდა დავაღწიოთ, გუნდი უნდა შევინარჩუნოთ წელს და ვიზრუნოთ მომავალში დიდი გუნდის ჩამოყალიბებაზე.

— ადგილობრივი ხელმძღვანელობა თუ გიდგათ მხარში?

— აქ ისეთი ხელშეწყობა ვნახე, თბილისის „დინამოში“ რომ მქონოდა, ათჯერ უკეთეს გუნდს დავაყენებდი. მეეზოვიდან დაწყებული ქალაქის მერით დამთავრებული ყველა დიდ ყურადღებას გვაქცევს. მე მგონი საქმე წაღმა უნდა წავიდეს.

— გუნდში ერთი წლით ხართ მოსული თუ დიდი გეგმები გაქვთ?

— თუ კიდევ ვიღაცამ არ გამაგდო გუნდიდან, როგორც თბილისის „დინამოში“ გამიკეთეს, სადამდეც საჭირო ვიქნები, მანამდე დავრჩები გუნდში. კურსს ახალგაზრდობაზე ავიღებ.

— „დინამოს“ და მის მთავარ მწვრთნელს რას უსურვებთ?

— დიდ წარმატებებს.

— ამ კონკრეტულ თამაშზე „დინამოსთან“ როგორ ემზადებოდით?

— ამ თამაშით მინდა ბიჭებს რწმენა ჩავუნერგო. ვიცი, რომ „დინამო“ ძლიერი გუნდია და რთული თამაში გვექნება, მაგრამ შევეცდებით დიდი ანგარიშით არ წავაგოთ.

— კიდევ რაიმე ხომ არა გაქვთ სათქმელი?

— არაფერი. მადლობელი ვარ თქვენი, ჟურნალისტების, მაგრამ ცოტა უფრო აქტიურად რომ ჩაებათ საქმეში, უკეთესი იქნება...

...„მეტალურგი“ — „დინამოს“ მატჩი საინტერესოდ წარიმართა. პირველ ტაიმში რუსთაველელებმა ტოლი არ დაუდეს თბილისელებს, ძმებმა კილასონიებმა ოთხჯერ ისე ძლიერად და ზუსტად დაარტყეს დინამოელთა კარში, რომ ნიკა ჩხეიძეს ოთხჯერვე აკრობატული ნახტომის გაკეთება დასჭირდა. ტაიმის ბოლოს კი რეზო არველაძის აქტიურობის შედეგად ქინქლაძემ ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში „დინამომ“ მთლიანად ხელში აიღო თამაშის სადავეები, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შეძლო შოთა არველაძემ ლამაზი დარტყმით ფეხებში ჩამხტარ მამუკა ქორიძისთვის თავზე გადაეგდო ბურთი. თითქოს მატჩიც ასე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ რუსთავის „ცნობილმა“ მინდვრის საფარმა მოატყუა ნიკა ჩხეიძე, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა გიორგი კილასონიამ და ჩხეიძეს თავზე გადაუგდო ბურთი...

შეუიარაღებელი თვალითაც ადვილი შესამჩნევი იყო, რომ რეზო ძოძუაშვილის ხელი აშკარად ეტყობა „მეტალურგს“. ეს ერთხმად აღნიშნეს მატჩზე დამსწრე ფეხბურთის ფედერაციის უამრავმა მუშაკმაც და გულშემატკივრებმაც.

P.S. გაზეთ „ქართულ ფეხბურთში“ მუშაობისას რუსთაველთა გუნდთან ერთად ბევრჯერ მიმგზავრია მათი ავტობუსით, ერთხელ ფათერაკიც გადამხდა და გივი ნოდიასთან ერთად ავტოსტოპით წამოსვლამაც მომიწია. იგივე განმეორდა ახლა რუსთავიდან წამოსვლისას: ზედ თბილისსა და რუსთავს შორის „დინამოს“ ავტობუსს ერთბაშად ორი საბურავი გაუსკდა და მილიციის შენობის წინ პლატონ სამანიშვილის ჯაგლაგივით დადგა. ბედად რუსთავიდან მომავალმა ავტობუსმა გამოიარა...

მამუკა კვარაცხელია

პირველი ჯგუფი

აღმოსავლეთი

გამოტოვებული მატჩები
IV ტური

კახეთი	**3**
მრეტები	**1**

თელავი, გივი ჩოხელის სტადიონი
17 სექტემბერი

კახეთი: გრიშიკაშვილი, ტოგონიძე, კაციტაძე, სანადირაძე, ნიქარიშვილი, ჭვრიტიძე, ა. ხორხელი (დემეტრაძე, 80), ლ. ხორხელი (სეფაშვილი, 40), ალავიძე, კვარაცხელია, ბაბულაიძე.
მრეტები: ჯანელიძე, ძაბირაძე, ამბიძე, ბახტაძე, ქორიძე, ქვარცხავა, იაგორაშვილი, თეთრაული, გელაძე, ტყავაძე, ირემაშვილი.

1:0 ჭვრიტიძე (35)
1:1 გელაძე (48)
2:1 ბაბულაიძე (50)
3:1 სეფაშვილი (70)

გაფრთხილება: კაციტაძე
გაძევება: ტოგონიძე (86)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

მეტალურგი	**1**
დინამო	**2**

რუსთავი. სტადიონი „მეტალურგი“
17 სექტემბერი

მეტალურგი: ქორიძე, ქართველიშვილი, ბურნაძე, არჩვაძე, დუშუაშვილი, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, ლუდუშაური (მაჭავარიანი, 46), შეტრეველი, ალადაშვილი (ჩოჩიევი, 63).
დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, ქვლაძე, შელია, ნემსაძე, ანნაბაძე, ა. არველაძე, რევიშვილი (ხუჯაძე, 46), რ. არველაძე, ქინქლაძე (კიკნაძე, 75), შ. არველაძე.

0:1 ქინქლაძე (43)
0:2 შ. არველაძე (70)
1:2 გ. კილასონია (87)

მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

დინამო	7	7	0	0	32-6	21
კახეთი	7	4	2	1	14-8	14
მარგვეთი	7	4	1	2	17-10	13
მაღაროელი	8	4	1	3	15-16	13
შევარდენი	7	4	0	3	15-13	12
საპოვნელა	8	3	1	4	12-9	10
ერქვანი	7	2	3	2	13-15	9
ივერია	6	2	2	2	7-7	8
ფილა	7	2	0	5	6-13	6
მრეტები	6	1	0	5	3-20	3
მეტალურგი	8	1	0	7	6-23	3

დასავლეთი

გთავაზობთ VII ტურის მატჩის აქამდე გამოუკვეყნებელ სრულ ოქმს:

მზიური — ამირანი 2:2

გალი, კობა ხარჩილავას სტადიონი
6 სექტემბერი

მზიური: ფიფია, ეთერია, ზ. კვეკვესქირი, დ. ღურნკაია, თ. ღურნკაია, ხერგიანი, კ. კვეკვესქირი, თორია (ტაბალუა, 74), ყოლბაია (ქორთუა, 58), ჩხეტია, ქანთარია.
ამირანი: მიქაია, ძალამიძე, ვ. კაკუბავა, ვ. გუჩუა, შამუგია, გოგიტაძე, ნ. კაკუბავა, შალამბერიძე (ჩხვირკია, 55), თოლორდავა (ჯოჯუა, 41), გაბისონია, აფენდოულო

1:0 ჩხეტია (22)
1:1 გაბისონია (59)
1:2 ჯოჯუა (86)
2:2 ქორთუა (87)

გაფრთხილება: გაბისონია
მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

მესამე ჯგუფი

I ქვეჯგუფი

I ტური. 10 სექტემბერი
ქიზიყი (წნორი) — შუამთა (ვარდისუბანი) 4:2
ალგეთი (მარნეული) — სამგორი (გარდაბანი) 1:9
გარეჯი (საგარეჯო) — იმედი (რუსთავი) 2:0
პონი (თბილისი) — ფხოვი (სარფიჭალა) 2:0

II ტური. 14 სექტემბერი
შუამთა — ფხოვი 2:1
იმედი — პონი 3:0
სამგორი — გარეჯი 1:0
ქიზიყი — ალგეთი 3:0 (არ გამოცხადდა)

III ტური. 20 სექტემბერი. ალგეთი — შუამთა, გარეჯი — ქიზიყი, პონი — სამგორი, ფხოვი — იმედი;
IV ტური. 24 სექტემბერი. შუამთა — იმედი, სამგორი — ფხოვი, ქიზიყი — პონი, ალგეთი — გარეჯი;
V ტური. 28 სექტემბერი. გარეჯი — შუამთა, პონი — ალგეთი, ფხოვი — ქიზიყი, იმედი — სამგორი;
VI ტური. 3 ოქტომბერი. შუამთა — სამგორი, ქიზიყი — იმედი, ალგეთი — ფხოვი, გარეჯი — პონი;
VII ტური. 11 ოქტომბერი. პონი — შუამთა, ფხოვი — გარეჯი, იმედი — ალგეთი, სამგორი — ქიზიყი;
მეორე წრე. VIII ტური. 15 ოქტომბერი. შუამთა — ქიზიყი, სამგორი — ალგეთი, იმედი — გარეჯი, ფხოვი — პონი;
IX ტური. 19 ოქტომბერი. ფხოვი — შუამთა, პონი — იმედი, გარეჯი — სამგორი, ალგეთი — ქიზიყი;
X ტური. 24 ოქტომბერი. შუამთა — ალგეთი, ქიზიყი — გარეჯი, სამგორი — პონი, იმედი — ფხოვი;
XI ტური. 28 ოქტომბერი. იმედი — შუამთა, ფხოვი — სამგორი, პონი — ქიზიყი, გარეჯი — ალგეთი;
XII ტური. 2 ნოემბერი. შუამთა — გარეჯი, ალგეთი — პონი, ქიზიყი — ფხოვი, სამგორი — იმედი;
XIII ტური. 8 ნოემბერი. სამგორი — შუამთა, იმედი — ქიზიყი, ფხოვი — ალგეთი, პონი — გარეჯი;
XIV ტური. 12 ნოემბერი. შუამთა — პონი, გარეჯი — ფხოვი, ალგეთი — იმედი, ქიზიყი — სამგორი

II ქვეჯგუფი

I ტური. 10 სექტემბერი
იმედი (თბილისი)—ვიქტორია (თბილისი) 0:6
იბერია (თბილისი)—ავაზა (თბილისი) 2:1
უინვალი — ტორპედო-2 (ქუთაისი) 4:4
მუხნარი (მუხრანი) — ცხინვალი 3:2

II ტური. 14 სექტემბერი
ვიქტორია — ცხინვალი 0:0
ავაზა — უინვალი 0:2
იმედი — იბერია 0:4
ტორპედო-2 — მუხნარი 1:1

III ტური. 20 სექტემბერი. იბერია — ვიქტორია, უინვალი — იმედი, მუხნარი — ავაზა, ცხინვალი — ტორპედო-2;
IV ტური. 24 სექტემბერი. ვიქტორია — ტორპედო-2, ავაზა — ცხინვალი, იმედი — მუხნარი, იბერია — უინვალი;
V ტური. 28 სექტემბერი. უინვალი — ვიქტორია, მუხნარი — იბერია, ცხინვალი — იმედი, ტორპედო-2 — ავაზა;
VI ტური. 3 ოქტომბერი. ვიქტორია — ავაზა, იმედი — ტორპედო-2, იბერია — ცხინვალი, უინვალი — მუხნარი;
VII ტური. 11 ოქტომბერი. მუხნარი — ვიქტორია, ცხინვალი — უინვალი, ტორპედო — იბერია, ავაზა — იმედი;
მეორე წრე. VIII ტური. 15 ოქტომბერი. ვიქტორია—იმედი, ავაზა—იბერია, ტორპედო-2—უინვალი, ცხინვალი—მუხნარი;
IX ტური. 19 ოქტომბერი. ცხინვალი — ვიქტორია, მუხნარი — ტორპედო-2, უინვალი — ავაზა, იბერია — იმედი;
X ტური. 21 ოქტომბერი. ვიქტორია — იბერია, იმედი — უინვალი, ავაზა — მუხნარი, ტორპედო-2 — ცხინვალი;
XI ტური. 23 ოქტომბერი. ტორპედო-2 — ვიქტორია, ცხინვალი — ავაზა, მუხნარი — იმედი, უინვალი — იბერია;
XII ტური. 2 ნოემბერი. ვიქტორია — უინვალი, იბერია — მუხნარი, იმედი — ცხინვალი, ავაზა — ტორპედო-2;
XIII ტური. 8 ნოემბერი. ავაზა — ვიქტორია, ტორპედო-2 — იმედი, ცხინვალი — იბერია, მუხნარი — უინვალი;
XIV ტური. 12 ნოემბერი. ვიქტორია — მუხნარი, უინვალი — ცხინვალი, იბერია — ტორპედო-2, იმედი — ავაზა;

მასპინძლებმა მსაჯები მიაზოვეს

რედაქციაში გვესტუმრა ეროვნული კატეგორიის მსაჯი ვლადიმერ ეჯიბია, რომელმაც ეს წერილი გვაახლა. საჭიროდ ჩავთვალეთ მისი გამოქვეყნება რედაქტირებისა და კომენტარების გარეშე.

სპორტულ გაზეთ „სარბიელის“ კორესპონდენტს მამუკა კვარაცხელიას,

წავიკითხე თქვენი სტატია „სანგრიდან ტრიბუნაზე“. მე ძალიან გული დამწყვიტა მასში არსებულმა ცილისწამებებმა მსაჯებისადმი. ინტერვიუში, სადაც სოხუმის „ცხუმის“ ფეხბურთის გუნდის პრეზიდენტი გურამ გაბისკირია გვკრიტიკებს მსაჯებს: აღნიშნავს, რომ მატჩის არბიტრმა ვოვა ეჯიბიამ ოთხწუთნახევარი მოაკლო თამაშს და 8000 მაყურებლის აბსოლუტური უმრავლესობა გაჰყვიროდა: მსაჯები — აფხაზები! ეს არის მტკნარი სიცრუე, რაც ბატონ გურამ არ ეკადრება. მაყურებელმა თამაშის დამთავრების შემდეგ ტაშით გაგვაცილა და ჩვენს მიმართ არავითარი პროტესტი არ გამოუხატავთ. მხოლოდ მწვრთნელმა მერაბ გოგობიამ მსაჯთა გასაწდელში შეურაცხყოფელი სიტყვებით მოგვმართა, რომ ჩვენ ყველა თბილისელი მსაჯები უნამუსოები ვართ და სოხუმში თამაშზე არ ჩამოხვიდეთო.

რაც შეეხება თამაშის დროს, მე ორჯერ გავაჩერე წამმზომი, რათა სამედიცინო დახმარება აღმოეჩინათ ტრავმირებული ფეხბურთელისათვის. როგორც მატჩის კომისარს აღუნიშნავს, მისი საათით თამაშის ძირითად დროს დაემატა ორი წუთი.

ოქმის შევსების შემდეგ მასპინძლებმა (მათ არავითარი პროტესტი არ შეუტანიათ დროის დაკლების შესახებ) მიგვატოვეს ისე, რომ მივლინებებიც კი არ შეგვიმოწმეს. ჩვენ იძულებული ვიყავით გამოვყოლოდით სტუმრებს, რომლებმაც ზუგდიდამდის ჩამოგვაცილეს.

გთხოვთ, ზემოთ აღნიშნული ფაქტები გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში.

ვლადიმერ ეჯიბია, ეროვნული კატეგორიის მსაჯი

ფოთი

ევროტურნირებს უმიზნებს

„სარბიელში“ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე წარდგენა დასავლეთ ჯგუფში მოთამაშე გუნდებით დავიწყეთ. უკვე გაგაცანით „ოდიშის“, „ცხუმის“, „ამირანის“ ამჟამინდელი მდგომარეობა. ამჯერად ფოთს ვესტუმრეთ და როგორც აღმოჩნდა, კარგადაც მოგვისწრია — ჩემპიონატი დროებით შეწყდა და როდის განახლდება, ღმერთმა უწყის. ფოთის „კოლხეთი 1913“ სამუდამოდ შევიდა ქართული ფეხბურთის ისტორიაში, როგორც ეროვნულ ჩემპიონატების პირველ მატჩში გამარჯვებული გუნდი. წლევანდელი სეზონის წინ მოულოდნელად კლუბის მეპატრონეებმა გუნდში სხვადასხვა ქალაქებიდან ეროვნული ნაკრების ოთხი ფეხბურთელი მოიყვანეს და „კოლხეთი 1913“-იც ყველასთვის სახიფათო მეტოქედ იქცა. საიდან ამდენი შესაძლებლობა (უფრო სწორად, ფული), კითხულობდა გულშემატკივარი და მეც პირველად კლუბის პრეზიდენტი მოვიკითხე.

1990 წლის 30 მარტი. პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩი: „იბერია“ — „კოლხეთი 1913“

პრეზიდენტი

კლუბში ყველა აღიარებს, რომ 1992 წლის მაისში დავით კუპრეიშვილმა სულზე მიუსწრო გუნდს, რომელიც მაშინ უმძიმეს ფინანსურ კრიზისს განიცდიდა. შარშან დეკემბერში დავით კუპრეიშვილი, მანამდე ფირმა „ლაშა-გიორგის“ პრეზიდენტი, ფოთის „კოლხეთი 1913“-ის პრეზიდენტიც გახდა. თავის დროზე ფოთის „კოლხეთისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მცველს ახლაც კარგად ახსოვს თავის დაცვა, მაგრამ ჩემი თხოვნა ინტერვიუს შესახებ, მცირე ყოყმანის შემდეგ მაინც დაეკმაყოფილა.

— ბატონო დავით, თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, დაახლოებით რა ჯდება საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფის გუნდი?

— ჩვენში არსებული ინფლაციის გამო ზუსტად მაგას ვერავინ გეტყვით. მაგალითად, შარშან ჩვენი გუნდის შენახვა მთელი სეზონის მანძილზე 45 მილიონი დაჯდა, წელს კი, მხოლოდ ერთი თვე გავიდა ჩემპიონატის დაწყებიდან და ხარჯმა უკვე მილიარდს (!) გადააჭარბა, თუმცა ამაში მონეული ფეხბურთელებისთვის გადახდილი საკმაო თანხებიც შედის.

— რაიმე შემოსავალზე, მე მგონი, ზედმეტია ლაპარაკი...

— რასაკვირველია. თავად ნახეთ, რომ სტადიონზე შესასვლელ ბილეთებსაც კი არ ვყიდით, თუმცა აქ უფრო პოლიტიკური ამბავია: ისედაც გატანჯული ხალხი გვინდა რომ ფეხბურთზე ხალისით მოვიდეს და საათნახევრის განმავლობაში ყველა პრობლემა დავივიწყოს.

— ამაში ალბათ ქალაქის მერიაც გეხმარებათ?

— მერია არაფერში გვეხმარება. ჩვენი ფეხბურთელები ქალაქის მერს სახეზედაც კი არ იცნობენ.

— აბა ამდენ ხარჯს მარტო „ლაშა გიორგი“ აუვა?

— ფირმას თავისი ბიზნესი აქვს და იქ მოგებულ თანხას გუნდს ვახმართ. შარშან სტადიონიც ჩვენ გადმოგვეცა, ხოლო სტადიონზე მდებარე სასადილო იჯარით გვაქვს აღებული და აქ ჩვენი მზარეულები მუშაობენ.

— ფოთში, ხანდახან, სამი ქვეყნის საჭმელ-სასმელი გროვდება, რომელიც ვერსად გააქვთ. იქ შოულობთ ფეხბურთელების საჭმელს?

— ხუმრობა იქით იყოს და ჩვენი ბიჭებისთვის საჭმელს მხოლოდ ბაზარში ვყიდულობთ.

— დროა ფეხბურთიც გავიხსენოთ. კმაყოფილი ხართ გუნდის თამაშით?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ იმედი მაქვს გუნდი მალე შეთამაშდება.

— ზოგიერთი პრეზიდენტი, აქაოდა ფული ჩემი ჯიბიდან გადისო, აქტიურად ერევა მწვრთნელის მუშაობაში...

— ჯერ ერთი, ძალიანაც რომ მინდოდეს, დრო არა მაქვს მწვრთნელს ჭკუა ვასწავლო, მეორეც — გიგლა იმნაძეს არაფერი სჭირს ჩემი სასწავლი და მესამეც: სეზონის წინ ჩვენ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს დავუსახეთ მიზანი ევროთასებზე გასვლა და სწორედ აქედან გამომდინარე შევაფასებთ მათ შრომას, ოღონდ მხოლოდ სეზონის ბოლოს.

— კლუბის სახელწოდებისგან გამომდინარე, წლევანდელი წელი გუნდისთვის საიუბილეოა...

— დიახ, „კოლხეთი 1913“ 80 წლის ხდება და რომ არა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ამ თარიღს საკადრისად აღვნიშნავდით, თუმცა „დაბადების დღეს“ მაინც გადავიხდით — ვვარაუდობ, რომ ჩვენთან სტუმრად თურქეთის „ტრაბზონსფორი“ ჩამოვა. მას ამასწინათ ვესტუმრეთ და ახლა საპასუხო ვიზიტით ველით. ხოლო თუ ეს არ გამოვა, იუბილეს... ჰამბურგში აღვნიშნავთ: 18 იანვარს საქვეყნოდ ცნობილ „ჰამბურგს“ ვხვდებით მის მოედანზე — სიტყვიერი თანხმობა უკვე გვაქვს, დეტალები კი ოქტომბერში დაზუსტდება.

ზურაბ თოფურია

მწვრთნელი

გიგლა იმნაძე წელს მოვიდა „კოლხეთი 1913“-ში. როგორც კლუბის პრეზიდენტმა დავით კუპრეიშვილმა გვითხრა, ახალი მწვრთნელის წინაშე დასმულია კონკრეტული ამოცანა — მოიპოვოს უეფას რომელიმე ტურნირში მონაწილეობის უფლება. ამჯერად თავი არ შეეაწყინე გუნდის ახალ თავკაცს და ინტერვიუ მეორე მწვრთნელს ზურაბ თოფურიას ვთხოვე.

ზური თოფურია მეათე კლასის მოწაფე იყო, როცა 1978 წელს ფოთის „კოლხეთში“ მივიდა და მას შემდეგ ამ გუნდშია. მონაწილეობდა პირველ სამ ეროვნულ ჩემპიონატში (63 მატჩი, 14 გოლი). 1991 წლის 24 ოქტომბერს გურჯაანის „ალაზანთან“ წაგებული მატჩი უკანასკნელი გამოდგა თოფურიას საფეხბურთო კარიერაში. მას შემდეგ იგი ფოთელთა მეორე მწვრთნელია.

— ზურაბ, თქვენზე უკეთ ვერავინ დაგვიხასიათებს იმ ცვლილებებს, რომელიც გუნდში ახალი მწვრთნელის მოსვლას მოჰყვა.

— ტაქტიკურად მართლაც რომ დიდი ცვლილებები მოხდა. ეს ისედაც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი მოვიდა. ამ სეზონში დიდი ყურადღება ექცევა ფლანგებზე თამაშს და მეტოქის მოედანზე უფრო აქტიურ თამაშს.

— გუნდში ბევრი ფეხბურთელი გყავთ, რომლებიც კარგად ასრულებენ სტანდარტულ მდგომარეობებს, მაგრამ, ჯერჯერობით, მათი გამოყენების მარგი ქმედება დიდი არ არის.

— გეთანხმებით. სტანდარტულებზე დიდი მუშაობა 1990 წელს, გუნდში სოსო ფილიას მოსვლისთანავე დაიწყო. პირველ ჩემპიონატში გოლების 90 პროცენტი მე და ნუგზარ თვარაძემ სწორედ კუთხურებისა და ჯარიმების წყალობით გავიტანეთ. იმედი მაქვს, ამჯერადაც ასე იქნება.

— „გურიასთან“ მატჩი ზედმეტად დაძაბულად მიმდინარეობდა და მოედნიდან საკმაო „ყაყანიც“ ისმოდა...

— ბევრი მუშაობა გვჭირდება, რათა ფეხბურთელებს თამაშის დროს ენა გავაჩერებინოთ. წლებია საჭირო, რათა ჩვენმა ფეხბურთელებმა შეიგნონ — მათ უნდა ითამაშონ, ხოლო თუ რაიმე საპრეტენზიო იქნება, რამენაირად ამას ჩვენ გავარკვევთ. მათი უდიერი ქცევა კი ისედაც დაძაბულ მაყურებელს გადაედება ხოლმე და ეს კარგ შედეგამდე არ მიგვიყვანს.

— გუნდი, რომელსაც ეროვნული ნაკრების 4-5 ფეხბურთელი პყავს, დიდ მიზნებს უნდა ისახავდეს. ხომ არ დააკონკრეტებთ თქვენს წინაშე დასმულ ამოცანას?

— როგორც კლუბის პრეზიდენტმა გითხრათ, ევროთასებზე გასვლას ვლამობთ. ამისთვის ან თასის მოპოვებაა საჭირო ან ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასვლა.

— რატომ მეორე?

— იცოხლე, კარგია ჩემპიონობა, მაგრამ საქმეს რეალურად შევხედოთ. დღესდღეობით „დინამოს“ და დანარჩენ კლუბებს შორის უდიდესი სხვაობაა.

— ფოთელები კარგა ხანი საკუთარ აღზრდილებს ეყრდნობოდნენ, წლეულს კი საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი სხვა გუნდებიდან გადმოიყვანეთ...

— ეს წლევანდელი სეზონის მიზნებიდან გამომდინარე. ისე კი, ჩემი აზრით, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ფეხბურთს, რომელიც თითქმის სავალალო მდგომარეობაშია. მე თუ მკითხავთ, ბავშვთა გუნდების მწვრთნელებსაც იგივე ხელფასს დავუნიშნავდი, როგორც პროფესიული კლუბისას.

— მოსალოდნელია, რომ „კოლხეთი 1913“ პირველი ეტაპის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე გაინაღდებს ხუთეულს. მერე რა უნდა პქნათ?

— თუ ეს ასე მოხდა, დანარჩენ დროს გუნდის შეთამაშებას დავუთმობთ და ავინაზღაურებთ სეზონისწინა პერიოდს, რომელიც გასაგები მიზეზების გამო, ფაქტიურად გაგვიცდა.

ფეხბურთელი

როგორც ფოთიდან გადმოცემულ პირველ რეპორტაჟში აღვნიშნე, გიორგი დარასელიამ მატჩები „გურიასთან“ და „კახეთთან“ გაბზარული ყბით ითამაშა. ამის ანალოგია არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ფეხბურთშიც ცოტა მოიძებნება. გუნდის ექიმი გიორგის არ აძლევდა ასეთ მდგომარეობაში თამაშის უფლებას, მაგრამ...

გიორგი დარასელია

— „ბათუმთან“ შეხვედრის მეათე წუთზე მასპინძელთა მცველმა გოგიტიძემ შემთხვევით იდაყვი გამარტყა. მართალია, მატჩი ბოლამდე ვითამაშე, მაგრამ სამაგიეროდ მერე მთელი ღამე არ მიძინია. დილით რენტგენზე გადამიღეს დაზიანებული ადგილი და აღმოჩნდა, რომ ყბა გაბზარული მქონდა. ოთხი დღე ინდაურივით ვჭამდი. ექიმებმა მითხრეს, რაღაც რკინებით უნდა დავამაგროთო, მაგრამ უარი ვუთხარი — თავისით შეხორცდეს.

— კიდევ რომ მოგხვდეს შემთხვევით ვინმეს იდაყვი?

— რას იზამ, ესე იგი ჩემი ბედიც ეგ ყოფილა.

— მოდი, შენ „ტორპედოდან“ წამოხვლაზე მითხარი ორიოდ სიტყვა.

— ქუთაისიდან წამოსვლა გუნდის ფაქტიურმა დაშლამ განაპირობა. შარშანაც ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ გიგა ნორაკიძის ხათრით დავრჩი, წლეულს კი მივხვდი, რომ ქუთაისში ფეხბურთისთვის არ სცალიათ. საქმისადმი ასეთი მიდგომით გუნდი დიდი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს, მე კი დიდი ფეხბურთის თამაში მინდა.

— რატომ ფოთი? როგორც ვიცი, სხვა გუნდებიც გეპატიჟებოდნენ.

— „კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ შარშან შევპირდი, რომ თუ „ტორპედოდან“ წამოვიდოდი, მხოლოდ ფოთში.

— გჯერა, რომ ეს გუნდი ევროპაზე გავა?

— მჯერა, რომ ევროპაზე გასასვლელ რომელიმე ტიტულს მოვიპოვებთ, აი, უეფას ამბავისა კი რა მოგახსენო — ან გაგვიშვებს, ან არა. აქვე ვიტყვი, რომ ძალიან მეწყინა „დინამოს“ ამბავი. ვფიქრობ, რომ რაღაც გაუგებრობის ბრალია. არადა, რამხელა სტიმული იყო ჩვენთვის „დინამოს“ გამარჯვება!

— „გურიასთან“ მატჩის ბოლო წუთებზე მეტოქის კარში დანიშნული პენალტი ჯულელს უნდა დაერტყა, მაგრამ გადაიფიქრა...

— ივანე და აბუსერიძე შარშან „მარგვეთში“ ერთად თამაშობდნენ და ჯულელიც, რომელსაც პირველი პენალტი გატანილი პქონდა, შეფიქრიანდა და ველარ გარისკა. ისე, არც მე მინდოდა დარტყმა. დევაძესაც კი შევთავაზეთ, მაგრამ... ეგ პენალტი რომ არ გამეტანა, ცხოვრებაში აღარ დავარტყამდი.

— ეგ თერთმეტმეტრიანი ნაღდი იყო, მაგრამ პირველი, რომ იტყვიან, ზღაპარი პენალტი დაიდო. არ შეგეცოდა „გურია“?

— შემეცოდა, მაგრამ ჩვენც ცოდონი ვართ: ქობულეთშიც, ბათუმშიც და ქუთაისშიც მსაჯებმა საკმაო შეცდომები დაუშვეს და გარწმუნებ, არა ჩვენს სასარგებლოდ.

— კარგი, წუწუნს თავი გაანებე და ის მითხარი, თავისუფალ დროს როგორ ატარებ?

— შენც ნახე დროს გასატარებელი დრო და ადგილი! ცოლშვილი აგერ ყურისძირში, სენაკში მყავს და იქაც ხან ვახერხებ ჩასვლას, ხან ვერა. ფოთიც ფრონტისპირა ქალაქად იქცა. ასეთ დროს ყველაფერს ბაზაზე ყოფნა ჯობია.

— იცოდი, რომ „სარბიელის“ გამოკითხვაში მერვე ადგილზე გახვედი?

— თქვენი გაზეთი დღეს პირველად ვნახე, ისე კი ჩემი მერვე ადგილი გადმოცემით ვიცოდი. იქნებ როგორმე მომანვდინოთ „სარბიელი“. ხომ იცი, სპორტული გაზეთების კითხვას არაფერი მიჩერენია.

• ...ეს საუბარი „კოლხეთის“ ბაზაზე გიორგის ოთახში შედგა. კიდევ ბევრი რამის შეკითხვას ვაპირებდი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. თან ინტერვიუს დროს ოთახში ლამის ჩვენნელა კოლოები დაგეტრიალებდნენ თავს. ამ ყბაგაბზარულ კაცს ხომ არ ვარბენინებდი და „მტრების“ მოგერიება ჩემს თავზე ავიღე. ისე დავიღალე, საუბრის გაგრძელებაც ველარ შევძელი. მეორე დილით კი გიორგი დარასელია სენაკში ცოლშვილის მოსანახულებლად გავიდა...

ზურაბ მეძველია

ფოთი

სამხრეთ ამერიკა

შეჯიბრება B ჯგუფშიც დასრულდა. ბრაზილია და ბოლივია ფინალში ისპარეზებენ

B ჯგუფი

ბრაზილია — ურუგვაი 2:0
ეკვადორი — ბოლივია 1:1

	თ	გ	ფ	წ	ბ	ქ
ბრაზილია	8	5	2	1	20-4	12
ბოლივია	8	5	1	2	22-11	11
ურუგვაი	8	4	2	2	10-7	10
ეკვადორი	8	1	3	4	7-7	5
ვენესუელა	8	1	0	7	4-34	2

კვირას, რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანაზე" 120 ათასი მაყურებელი შეიკრიბა ბრაზილიისა და ურუგვაის გადამწყვეტი თამაშის სანახავად. მათგან ხუთი ათასი ურუგვაელი იყო. სტუმართა შორის ერია ფელიდეს გიჯაც, ვისმა მეორე გოლმაც ურუგვაის ბრაზილიასთან გამარჯვებინა მსოფლიოს IV ჩემპიონატის ბოლო მატჩში იქვე, „მარაკანაზე", 1950 წლის 16 ივლისს.

გიჯას სტადიონზე ყოფნამ ურუგვაის ვერ უშველა. ბურთი ერთთავად ბრაზილიას ჰქონდა და უტევდა, ურუგვაი კი ყრუ დაცვაზე გადასულიყო. მატჩის განმავლობაში ბრაზილიამ კარში 24-ჯერ დარტყა, ურუგვაიმ — ერთხელ და ისიც საჯარიმოდან.

გოლები თამაშის ბოლოს გავიდა. 73-ე წუთზე ბებეტოს ჩაწოდებულ ბურთს რომარიომ თავი მარჯვედ დარტყა, მე-80 წუთზე კი ისევ და ისევ რომარიომ, რომელიც „ბარსელონის" ვარსკვლავიცაა, ბურთი შუაგული მოედნიდან წაიღო, ურუგვაელთა საჯარიმოში შეიჭრა, მეკარეც მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგდო.

ამ მოგებით ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით სტადიაზე გავიდა, ურუგვაი კი ფინალის მიღმა დარჩა. აშშ-ის მეორე საგზური მოიგო ბოლივიამ, რომელიც პირველი ტაიმის ბოლოს ვილიამ რამალიოს მიერ გატანილი პურთით გუაიაკილში 85-ე წუთამდე უგებდა ეკვადორს. მასპინძლები მარცხისგან რაულ ნორიეგამ იხსნა. ბოლივია 1950 წლის შემდეგ პირველად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში.

ევროპის საკლუბო ტურნირები

გასულ ხუთშაბათსა და პარასკევს ჩატარებული მატჩებით დამთავრდა ევროტურნირების პირველი წრის პირველი მატჩები. ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამოს" მაგივრად მოთამაშე „ლინფილდმა" შინ „კოპენჰაგენი" დაამარცხა 3:0. ეს „ლინფილდის" პირველი გამარჯვებაა ევროთასებზე ბოლო 11 წლის განმავლობაში. ბელარუსის ჩემპიონმა მინსკის „დინამომ" ორი გოლი გაიტანა ბრემენში „ვერდერთან" შეხვედრაში, თუმცა საკუთარში ხუთი მიიღო (ჰობში 3, რუფერი 2). თასების თასზე ხორვატიის „ჰაიდუკმა" ომის გამო სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში უმასპინძლა „აიაქსს", მაგრამ მაინც მოუგო 1:0. უეფას თასზე ბუქარესტის „დინამომ" შინ 3:2 მოუგო „კალიარის", ბუდაპეშტის მ.ტ.კ.-მ გასვლაზე „რეიკიავიკს" 2:1. „ნანტი" — „ვალენსია" დამთავრდა ფრედ 1:1.

წინა ნომერში შეცდომითაა უეფას თასზე „სლავიასა" და ო.ფ.ი.-ის მატჩის შედეგი: იგი 1:1 დამთავრდა.

საფრანგეთი

IX ტური. 18 სექტემბერი. „მარსელი" — „ბორდო" 3:1, „ლიონი" — „პარი სენ-ჟერმენი" 1:3, „მონპელიე" — „კანი" 2:1, „სოშო" — „მონაკო" 2:0, „ოსერი" — „ლანი" 1:0, „სტრასბური" — „მარტიგი" 3:0, „კაენი" — „ტულუზა" 1:0, „მეცი" — „ლე ავრი" 2:0, „ლილი" — „სენტ ეტიენი" 0:2, „ანჟერი" — „ნანტი" 0:0.

ბორდო (4)	9	5	2	2	13-6	12
პსჟ (2)	9	5	2	2	12-7	12
მარსელი (1)	9	4	4	1	10-5	12
კანი (დ)	9	4	4	1	15-12	12
სოშო (16)	9	4	3	2	11-6	11
სტრასბური (8)	9	2	7	0	12-8	11
ოსერი (6)	9	4	3	2	9-6	11
ნანტი (5)	9	3	5	1	7-4	11
მონაკო (3)	9	4	2	3	11-8	10
კაენი (11)	9	4	2	3	8-11	10
მეცი (12)	9	3	3	3	9-9	9
მარტიგი (დ)	9	2	4	3	10-10	8
სენტ ეტიენი (7)	9	2	4	3	8-8	8
ლიონი (14)	9	3	2	4	10-12	8
მონპელიე (10)	9	3	2	4	8-12	8
ანჟერი (დ)	9	2	3	4	10-15	7
ლანი (9)	9	2	2	5	5-7	6
ლილი (17)	9	0	5	4	6-11	5
ტულუზა (13)	9	0	5	4	3-12	5
ლე ავრი (15)	9	0	4	5	5-13	4

ესპანეთი

III ტური. 19 სექტემბერი. „ლა კორუნია" — „რეალი" 4:0, „ლერიდა" — „რაიო ვალეკანო" 0:1, „ტენერიფე" — „ლოგრონიესი" 2:0, „სანტანდერი" — „ვალენსია" 0:1, „ატლეტიკო" — „სელტა" 3:2, „ოვიედო" — „სპორტინგი" 0:1, „ვალიადოლიდი" — „სევილია" 2:2, „ოსასუნა" — „რეალ სოსიედადი" 0:2, „სარაგოსა" — „ალბასეტე" 1:1, „ატლეტიკი" — „ბარსელონა" 0:0.

„რეალის" მწვრთნელმა ბენიტო ფლორომ მატჩის შემდეგ აღიარა, რომ „ლა კორუნიას" ფეხბურთელებმა ყველაფერში დაჯაბნეს მისი გუნდი და სამართლიანად გაიმარჯვეს, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს აღიარება გადაარჩენს ფლოროს, რომლის დღეებიც „რეალის" მწვრთნელის პოსტზე, ალბათ, დათვლილია. „რეალი" სამი ტურის შემდეგ მისთვის უჩვეულო, მეთხუთმეტე ადგილზეა. „ლა კორუნიას" გამარჯვება უფრო იმითაცაა სენსაციური, რომ მათ ორი ბრაზილიელი — ბებეტო და მაურუ სილვა აკლდათ. სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია, რომ „რაიო ვალეკანოს" გამარჯვება 35 წლის მექსიკელმა უგო სანჩესმა მოუტანა.

ლა კორუნია (3)	3	2	1	0	6-0	5
ვალენსია (4)	3	2	1	0	6-2	5
ატლეტიკი (8)	3	2	1	0	6-2	5
ატლეტიკო (6)	3	2	1	0	6-4	5
ბარსელონა (1)	3	1	2	0	3-0	4
ტენერიფე (5)	3	2	0	1	6-4	4
სევილია (7)	3	1	2	0	5-4	4
რაიო ვალ. (14)	3	2	0	1	5-4	4
სანტანდერი (დ)	3	2	0	1	2-1	4
სპორტინგი (13)	3	2	0	1	2-2	4
ვალიადოლ. (დ)	3	1	1	1	5-4	3
სოსიედადი (12)	3	1	1	1	4-5	3
სარაგოსა (9)	3	0	2	1	4-5	3
სელტა (11)	3	0	2	1	3-4	2
რეალი (2)	3	1	0	3	5-8	2
ალბასეტე (17)	3	0	2	1	2-5	2
ოვიედო (16)	3	0	1	2	1-5	1
ოსასუნა (10)	3	0	1	2	2-7	1
ლერიდა (დ)	3	0	0	3	1-4	0
ლოგრონ. (15)	3	0	0	3	0-4	0

იტალია

V ტური. 19 სექტემბერი. „პიაჩენცა" — „ლეჩე" 2:1, „ჟენოა" — „ნაპოლი" 0:0, „ატალანტა" — „კრემონეზე" 0:0, „იუვენტუსი" — „რეჯანა" 4:0, „ლაციო" — „ინტერი" 0:0, „უდინეზე" — „სამპდორია" 0:2, „პარმა" — „ტორინო" 3:0 (შეთ-თრიქი შეასრულა ასპრილიამ), „მილანი" — „რომა" 2:0, „ფოჯა" — „კალიარი" 0:1.

მილანი (1)	5	4	1	0	6-0	9
პარმა (3)	5	4	0	1	8-3	8
სამპდორია (7)	5	4	0	1	9-6	8
იუვენტუსი (4)	5	3	1	1	10-4	7
ტორინო (9)	5	3	1	1	6-4	7
ინტერი (2)	5	2	2	1	5-4	6
ატალანტა (8)	5	2	1	2	8-7	5
კრემონეზე (დ)	5	2	1	2	4-3	5
ფოჯა (12)	5	1	3	1	4-3	5
ლაციო (5)	5	1	3	1	2-2	5
კალიარი (6)	5	2	1	2	6-8	5
ჟენოა (13)	5	1	2	2	4-4	4
ნაპოლი (11)	5	1	2	2	4-6	4
პიაჩენცა (დ)	5	1	2	2	4-7	4
უდინეზე (14)	5	1	1	3	2-5	3
რომა (10)	5	1	1	3	4-8	3
რეჯანა (დ)	5	0	2	3	3-9	2
ლეჩე (დ)	5	0	0	5	2-8	0

გერმანია

VIII ტური. ლევერკუზენი — აინტრახტი 2:2, ფრაიბურგი — კაიზერსლაუტერნი 2:3, შტუტგარტი — კოლონი 1:1, ლაიპციგი — ჰამბურგი 1:4, შალკე 04 — ნიურნბერგი 1:2, დუისბურგი — დორტმუნდი 2:2, ბაიერნი — ვატენშიდი 3:3, დინამო — მიონხენგლადბახი 2:1, კარლსრუე — ვერდერი 0:3

14 ქულით ლიდერობს „აინტრახტი".

ფეხბურთის რუკასთან

თასების თასზე უელსის „კარდიფ სიტის" ლიეჟის „სტანდარდთან" 2:5 წაგებას დიდი აურზაური მოყვა. ბრიტანელთა ქომაგები გულის მოსაოხებლად გამოთვრნენ და ბართან გამვლელ-გამომვლელ ბელგიელებს ჩხუბი აუტეხეს. ლიეჟის პოლიცია იძულებული შეიქნა, ორასი შფოთისთავი არმიის ყაზარმებში ჩაემწყვდია.

შოტლანდიის სასამართლოს შერიფმა ბრიტანეთის უძვირეს ფეხბურთელს, „გლაზგო რეინჯერსის" მიერ ოთხ მილიონ გირვანქა სტერლინგად შესყიდულ დანკან ფერგიუსონს ამცნო, რომ ციხეში ჩასმას უპირებს. ფეხბურთელს მავანზე თავდასხმა ბრალდება.

„რეინჯერსისშე" ალი მაკკოისტს მოურჩა ფეხი. შოტლანდიელმა იგი ხუთი თვის წინ ეროვნული ნაკრების თამაშში მოიტეხა, სადაც სქოთებმა პორტუგალიასთან 0:5 წააგეს.

ხვალ ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ თამაშში იტალიის ქალაქ ბოლონიაში სან-მარინოს ეთამაშება. ნორვეგიასთან 0:0 დამთავრებული თამაშით უკმაყოფილო „ნარინჯოვანთა" მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა საფუძვლიანად „დაფერთხა" ნაკრები, დაითხოვა რა მცველი ულრიკ ვან გობელი და სამი თავდამსხმელი: ჯონ ბოსმანი, პიტერ ვან ფოსენი და რეჯი ბლინკერი. მათ ნაცვლად მაჩანჩალა სან-მარინოს დასაყუმბარებლად გუნდში ოთხი თავდამსხმელი ჩაირიცხა: როლანდ დე ბური, ვიმ კიფტი, ბრაიან როი და ჰანს ჯილჰაუსი.

ინგლისურ ფეხბურთში ტრაგედია დატრიალდა: ერთობ უმნიშვნელო ინციდენტის გამო მსაჯთა ერთ-ერთი საწვრთნელი შეკრების შემდეგ ხელობას დროებით ჩამოაშორეს ორი თანამსაჯი. ერთი მათგანი მეორე დილით მისსავე ავტომობილში მკვდარი იპოვნეს. გამოძიებამ თვითმკვლელობა დაადგინა. ფეხბურთის ასოციაციამ განსვენებულის ოჯახს გულწრფელად მიუსამძიმრა, მაგრამ ეტყობა ეს საქმეს ვერ უშველის, რაკიღა მსაჯთა საკრებულო საპროტესო გაფიცვის მოწყობას აპირებს.

ბრიტანეთის უშეუპოვრესი ფეხბურთელი, ცენტრალური მცველი ჯულიან დიქსი შუა სეზონში „ვესტ ჰემიდან" „ლივერპულში" გადაიყვანეს. „ვესტ ჰემმა" სანაცვლოდ ერთნახევარი მილიონი გირვანქა და ორი ლივერპულელიც — ბაროუზი და მარში მიითვალა. 25 წლის დიქსი იმითაა ცნობილი, რომ კარიერის მანძილზე მოედნიდან რვაჯერ (!) გაუძევებიათ.

31 ოქტომბერს სიდნეის საბურთაო სტადიონზე (ფოტო იხილეთ მერვე გვერდზე) აშშ-ში წასასვლელად პირველ მატჩში ავსტრალია არგენტინას უმასპინძლებს. მართალია, გუნდის მწვრთნელს ალფიო ბასილეს დიეგო მარადონა (ფოტოზე) 22-კაციან გუნდში არ დაუსახელებია, მაგრამ არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის ხულიო გრონდონას მტკიცებით ზარადონას ნაკრებში შეყვანა სულაც არაა დაგვიანებული. გრონდონა იმედოვნებს, რომ ესპანეთის „სევილია" მოურიგდება როსარიოს კლუბს, რომელსაც მარადონა ახლახანს შეეფარა, რის შედეგადაც ექს-ვარსკვლავს ნაკრებში თამაშიც შეეძლება.

უეფა-ს აღმასკომი ამ უქმეებზე კვიპროსზე, ლიმასოლში შეიკრიბა და სხვათა საქმეთა გარდა, ისრაელიც მიიღო დროებით წევრად. მართალია, ისრაელის კლუბები უკვე მონაწილეობენ ევროპულ ტურნირებში, ნაკრები კი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ევროპის ზონაში გამოდის, მაგრამ ისრაელს უეფა-ს სრულუფლებიან წევრად გაისად აპრილშილა სცნობენ.

ამერიკა-94: ფინალისტები

1	4.07.88	აშშ	
2	8.07.90	გერმანია	
3	9.05.93	მექსიკა	
4	23.05.93	საბერძნეთი	
5	2.06.93	რუსეთი	
6	5.09.93	კოლუმბია	
7	19.09.93	ბრაზილია	
8	19.09.93	ბოლივია	



ვინ მოქრთამა ფაპი?

კვლავ აღშფოთდა მარსელის „ოლიმპიკის" პრეზიდენტი, მილიარდერი ბერნარ ტაპი. ამჯერად მისი აღშფოთების მიზეზი გახდა უეფა-ს გენერალური მდივნის გერხარდ აიგნერის განცხადება, თითქოს ტაპიმ ბერნის სასამართლოდან უეფა-ს წიააღმდეგ შეტანილი სარჩელი იმიტომ წაიღო უკან, რომ ამაში მას დიდძალი ფული გადაუხადეს. ფრანგული კლუბის მეპატრონემ განაცხადა, რომ მას სურს პირისპირ შეხვდეს აიგნერს და კაცურად გამოკითხოს მართლა უყენებს თუ არა ეს უკანასკნელი მას ამ ახალ ბრალდებას.

— კლუბს ერთი პენიც არ მიუღია, სიტუაცია კი, ვთვლი, რომ მეტად სერიოზულია და განზრახული მაქვს ყველა ღონე ვიხმარო, რათა ყველაფერი ნათელი გახდეს — თქვა ტაპიმ.

როგორც ფრანს პრესი იუწყება, აიგნერმა რამდენიმე დღის წინ მართლაც განაცხადა, რომ ტაპიმ ჩივილზე ქრთამის ხათრით აიღო ხელი, თუმცა სულ ახლახანს „ნოიე ციურხერ ციტუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში ვერ დასახელა, თუ ვინ მოქრთამა ფრანგი ბიზნესმენი.

ჭადრაკი

შორტი ცვლილებებს გვპირდება

ლონდონში, კასპაროვ-შორტის მატჩის მეხუთე პარტიაში მხოლოდ 18 სვლა გათამაშდა. მსოფლიოს ჩემპიონმა ყაიმი შესთავაზა პრეტენდენტს, რომელიც უყოყმანოდ დათანხმდა. სინამდვილეში პარტია სულაც არ იყო ისეთი მარტივი, როგორც ერთი შეხედვით სჩანდა. შავი ფიგურებით მოთამაშე ინგლისელმა დიდოსტატმა ბრწყინვალედ შეაჩერა თეთრების შეტევა და მწვავე კონტრშეტევებიც განახორციელა. პრეს-კონფერენციაზე შორტმა განაცხადა, რომ იგი საფუძვლიანად ემზადებოდა მატჩისთვის, შეისწავლა როგორც მეტოქის, ისე სხვა დიდოსტატთა პარტიები და როდესაც დაფას მიუჯდა, ფაქტობრივად წინასწარ იცოდა, თუ რა შემთხვევაში როგორ იმოქმედებდა. წინა პარტიებისგან განსხვავებით პრეტენდენტს არც საკონტროლო დროის პრობლემა წამოჭრია. ამის თაობაზე კასპაროვმა იხუმრა კიდეც, მეტოქემ ისე სწრაფად ითამაშა, რომ ახლა მე ხუთი პარტია მაქვს ჩატარებული, მას კი ოთხი. მართლაც, 18 სვლის მოსაფიქრებლად ინგლისელმა მხოლოდ 11 წუთი დახარჯა, მაშინ, როდესაც მისმა მეტოქემ 1 საათი და 28 წუთი. მსოფლიოს ჩემპიონმა აღნიშნა, რომ შეხვედრაში მისი კარგი სტარტი ჯერ ბევრს არაფერს ნიშნავს. იგივე აზრი გამოთქვა შორტმაც, როდესაც დაიკადნა, ნახავთ ცვლილებებს თუ არ მოვახდენო. გაზეთი „ტაიმსი" წერდა, შავების მეათე სვლა საჭადრაკო თეორიაში სიახლეაო.

შორტმა არც მეექვსე პარტიაში გადაუხვია არჩეულ კურსს და ახლა უკვე თეთრებით ორმხრივი მწვავე თამაში შესთავაზა კასპაროვს. შეხვედრა ყაიმით დასრულდა. საერთო ანგარიშია 4,5:1,5 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ.

ამსტერდამში ფიდე-ს მსოფლიო ჩემპიონატზე რუსი ანატოლი კარპოვი და ჰოლანდიელი იან ტიმანი მე-7 და მე-8 პარტიებში, ლონდონში მოთამაშე კოლეგების მსგავსად ერთმანეთს დაუზავდნენ. აქ ანგარიშია 4,5:3,5 რუსის სასარგებლოდ.

ავტორგული

მენსელი ისევ ჩემპიონია

სახელგანთქმული ბრიტანელი ავტომრბოლი ნაიჯელ მენსელი პირველია, ვინც ავტოსპორტის ისტორიაში ორ პრესტიჟულ ჩემპიონატში გაიმარჯვა. ფორმულა 1-ის ჩემპიონის ტიტულს მან „ინდიკარის" მსოფლიო სერიაში უძლიერესის წოდება მიამატა. მენსელმა, კვირას, ნაზარეთში (აშშ) „ბოშ გრანპრის" ასპარეზობაში „ინდიკარებით" რბოლაში ყველას აჯობა და თხუთმეტი ეტაპის შემდეგ 191 ქულით მეტოქეთათვის მიუღწეველი გახდა. მეორე ადგილზეა ბრაზილიელი ემერსონ ფიტიპალდი — 166, მესამეზე კანადელი პოლ ცარეისი — 136.

ნაიჯელ მენსელი, რომელიც „ნიუმენჰაასის" გუნდის წევრია, ისტორიაში იმითაც შევიდა, რომ იგი ფორმულა 1-დან „ინდიკარზე" გადაჯდომის პირველივე წელს გახდა ჩემპიონი.

ნარდი

მუშტაიდის თასზე

თბილისის ნარდის ფედერაცია (პრეზიდენტი გივი ბარბაქაძე), ყოველმხრივ ცდილობს ჩვენში ისედაც პოპულარული თამაშის მეტად პოპულარიზაციას და რაც მთავარია, ჩამოყალიბებული სისტემის მქონე შეჯიბრებების მოწყობას. მისი აზრით, საჭიროა ყომარბაზობისა და სპორტული ნარდის მკვეთრად გამიჯვნა. 18 სექტემბერს გაიმართა მუშტაიდის თასის გათამაშება, რომელშიც 16-მა მონარდემ მიიღო მონაწილეობა. ოლიმპიური სისტემით ჩატარებული ტურნირის ფინალში ვახტანგ ცერცვაძემ მიუგო ზაქარია გუგულაშვილს და პრიზი დაისაკუთრა.

შბილისის ნარდის ფედერაცია გაცნობებთ, რომ 25 სექტემბერს ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართება დიდუბის თასის გათამაშება.

კეტბურთი

გარსელონის ნაცვლად გაკურიანში

ბეისბოლი, ანუ ჩვენებურად კეტბურთი, ათიოდე წლის წინ გაიცნეს საქართველოში. ენთუზიასტებმა ამ უცხო თამაშის წესებთან ერთად ცოტაოდენი ინვენტარიც იშოვნეს და მალე ისე გაიწაფნენ კეტის ტრიალში, რომ საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თბილისის ორი გუნდი აღმოჩნდა. რამდენიმე სპორტსმენმა საერთაშორისო სარბიელზეც გამოიჩინა თავი.

მოგეხსენებათ, კეტბურთი უკვე ოლიმპიური სახეობა გახდა და ატლანტის შესარჩევ ტურნირში ჩვენებსაც მოუწევთ ძალის გამოცდა. დებიუტამდე არც ისე დიდი დროა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ამდენად, ყოველ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობას გამოცდილების შეძენისა და თამაშის ხარისხის ასამაღლებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე უფრო სერიოზული ასპარეზობა კი ძნელად მოიძებნება. ოლიმპიური ნაკრებიც ძირითადად ამ ჭაბუკებით იქნება დაკომპლექტებული.

შარშან, წლის ბოლოს, როდესაც ესპანეთში დანიშნულ ამ ტურნირში მონაწილეობის საკითხი წყდებოდა, საქართველოს სპორტკომიტეტმა კეტბურთისა და სოფტბოლის ევროპულ კონფედერაციაში თანხმობა გაგზავნა და საგარანტიო თანხაც — 620 დოლარი უკლებლივ გადაიხადა.

დაიმედებული სპორტსმენებიც ხალისიანად შეუდგნენ მზადებას, რომლის მთავარი ეტაპი აშშ-ში, სწორედ მომავალი ოლიმპიადის ქალაქში ორკვირიანი ტურნე იყო. ქართველმა ჭაბუკებმა ატლანტის უმაღლესი სკოლისა და კოლეჯის გუნდებთან ათი მატჩი გამართეს. ამით უზარმაზარი გამოცდილებაც შეიძინეს და რაც მთავარია, როგორც იქაურმა პრესამ აღნიშნა, კარგი თამაშიც აჩვენეს. ძლიერ მეტოქეებთან ოთხი შეხვედრის მოგებაც ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ ეს მგზავრობა დააფინანსა სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ემბიომ", ხოლო ატლანტაში სასტუმროსა და კვების ხარჯები მთლიანად თავის თავზე აიღო ადგილობრივი ახალგაზრდობის ქრისტიანული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, წარსულში „სან-დიეგო პადრეს" პროფესიული კლუბის წამყვანმა პიჩერმა რენდელ ბრაუნმა.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როცა ესპანეთში წასვლის დრო მოახლოვდა, გაირკვა, რომ სპორტკომიტეტს მხოლოდ მგზავრობის თანხის გაღება შეეძლო, კვებისა და სასტუმროს ხარჯების დასაფარი ფული კი არ აღმოაჩნდა. ამიტომაც, საქართველოს ნაკრები ბარსელონაში ვერ გაემგზავრა. არადა, ჩვენები უშუალოდ პირველ ჯგუფში იყვნენ დაშვებულნი, წაუსვლელობით კი უძლიერესთა შორის ადგილიც გაგვიუქმდა და სასჯელიც არ აგვცდება. ის 620 დოლარი ხომ დაიკარგა, ამას დამატებითი ჯარიმაც მოყვება და სამი თვიდან სამ წლამდე დისკვალიფიკაციაც. საკითხი ევროპული კეტბურთის კონფედერაციის უახლოეს კონგრესზე, ოქტომბერში გადაწყდება.

საქართველოს კეტბურთისა და სოფტბოლის ფედერაციამ ევროპულ ინსტანციაში წერილი გაგზავნა, რომელშიც გუნდის ჩაუსვლელობა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციით ახსნა. საბოლოო გადაწყვეტილებაზე შეიძლება ჩვენთვის სასიკეთო გავლენა მოახდინოს ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონ რამაზ გოგლიძის ავტორიტეტმა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ამ სახეობის დანერგვა-განვითარებას აღმოსავლეთ ევროპაში. იქნებ, სასჯელად მარტო იმ 620 დოლარის დაკარგვა გვაკმაროონ.

რაც შეეხება ნაკრების წევრებს, ისინი ორკვირიან შეკრებაზე ბაკურიანში გაემგზავრნენ, ოქტომბერში, მოსკოვში დაგეგმილი საერთაშორისო ტურნირისათვის მოსამზადებლად.

მანამდე კი საქართველოს რიგით მესამე ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო. ბოლო ვადად 11 სექტემბერი იყო დათქმული. მაგრამ ისევ ფინანსურმა პრობლემებმა არია ყველაფერი. ამ მიზეზით ორმა-სამმა გუნდმა პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა. დანარჩენ სამს — „ივერიას", „მერანსა" და „ლელიანს" ექვს ტურად უნდა ეთამაშა. პირველ ორსაც ჯერჯერობით კუპონების პრობლემა აწუხებს. არადა, ცოტა როდია გადასახდელი: დებულების თანახმად, ორი ტური ლაგოდეხში უნდა ჩატარდეს, ოთხი — თბილისში. მგზავრობისა და კვება-ღამისთევის სოლიდური თანხა კი თავად მონაწილეებმა უნდა დადონ, ვინაიდან სპორტკომიტეტი ამჯერად ვერაფრით ეხმარება. კოლეგიის გადაწყვეტილებით, სათამაშო სახეებში ეროვნული ჩემპიონატები თავად მონაწილე კლუბების შესატანით უნდა ჩატარდეს.

იმედია, მოკლე ხანში პოლიტიკური სიტუაცია დაწყნარდება, გუნდებიც სპონსორების ხელშეწყობით წელს მოიდგამენ და ჩემპიონატის დაწყებას აღარაფერი შეუშლის ხელს.

გია ახალაძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

«ესპერანტო»

გთავაზობთ საბროკერო მომსახურეობას

ტელეფონები:

36-94-17, 36-94-19

ტოტოლოტო
საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 28 — 29 სექტემბერი

		I მატჩი	პროგნოზი		
	უეფას თასი				
1	პინტრაბტი (გერ.) — დინამო (მ)	6:0	8	1	1
2	ლოკომოტივი (მ) — იუვენტუსი (იტ.)	0:3	2	5	3	X 2
3	სპარტაკი (ვლ) — დორტმუნდი (გერ.)	0:0	3	3	4	1 X 2
4	ადმირა-ვაკერი (ავსტ.) — დნეპრი	0:1	4	3	3	1 X 2
5	ეინდჰოვენი (ჰოლ.) — კარლსრუე (გერ.)	1:2	6	3	1	1
6	სელტიკი (შოტ.) — იანგ ბოიზი (შვეიც.)	0:0	4	3	3	1 X 2
7	მარიტიმუ (პორტ.) — ანტვერპენი (ბელგ.)	0:2	2	4	4	X 2
8	ლოკომოტივი (ბულგ.) — ლაციო (იტ.)	0:2	4	3	3	1 X 2
9	ოლიმპიაკოსი (სპბ.) — ბოტევი (ბულგ.)	3:2	5	3	2	1 X
10	ატლეტიკო (ესპ.) — პართსი (შოტ.)	1:2	6	2	2	1
11	დ. იუნაიტედი (შოტ) — ბრონდბიუ (დან)	0:2	4	3	3	1 X 2

შედეგი ითვლება ძირითადი დროის მიხედვით

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ქუთაისში — ალმაშენებლის ქ. № 1, სპორტლოტოს სამმართველოში, ყოველი კვირის ხუთშაბათი. 12 საათამდე. რუსთავში — ყოველი კვირის ოთხშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალურ ფოსტაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

სარბიელი

ტოტალიზატორი
"CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე, ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე. სასტუმრო „აჭარაში" ფსონების მიღება დროებით შეჩერებულია.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

			1	X	2
22 სექტემბერი	ნორვეგია — პოლონეთი	0:1	2,0	1,9	3,0
25-26 სექტემბ.	ჩელსი — ლივერპული		2,0	2,0	2,6
	კოვენტრი — ლიდსი		1,8	2,0	3,1
	იფსვიჩი — ტოტენჰემი		2,6	2,0	2,0
	მიონხენგლადბახი — შტუტგარტი		1,8	2,0	3,1
	დორტმუნდი — ბაიერნი		2,0	2,0	2,6
	კაიზერსლაუტერნი — ლევერკუზენი		2,0	2,0	2,6
	სევილია — ლა კორუნია		2,0	2,0	2,6
	რაიო ვალეკანო — ბილბაო		2,0	2,0	2,6
	ხიხონი — ატლეტიკო		2,1	2,1	2,4
	კრემონეზე — მილანი		2,4	2,0	2,2
	კალიარი — ლაციო		1,9	2,0	2,8
	რეჯანა — ფოჯა		2,5	2,0	2,1
	რომა — ატალანტა		2,0	2,0	2,6
	სამპდორია — პარმა		1,8	2,0	3,1
	ნაპოლი — უდინეზე		1,3	2,2	5,7
	ტორინო — ჯენოა		1,3	2,2	5,7

წინა ტურების შედეგები:

16 სექტემბერი. დინამო (ბ) — კალიარი 3:2, 18-19 სექტემბერი. მანჩესტერ იუნაიტედი — არსენალი 1:0, ქუინზ პარკი — ნორვიჩი 2:2, ევერტონი — ლივერპული 2:0, კარლსრუე — ვერდერი 0:3, დუისბურგი — დორტმუნდი 2:2, ლევერკუზენი — აინტრახტი 2:2, დეპორტივო — რეალ მადრიდი 4:0, ვალიადოლიდი — სევილია 2:2, ატლეტიკი — ბარსელონა 0:0, ატალანტა — კრემონეზე 0:0, ფოჯა — კალიარი 0:1, ჯენოა — ნაპოლი 0:0, ლაციო — ინტერი 0:0, მილანი — რომა 2:0, პარმა — ტორინო 3:0, უდინეზე — სამპდორია 0:2, ბრაზილია — ურუგვაი 2:0, ეკვადორი — ბოლივია 1:1

უედგთა დაფა

რაგბი

ამერის პირველობა. II ჯგუფი. 14. IX. უნივერსიტეტი 14 ლელო 124

ახალი ზელანდიის პროვინციათა პირველობა. I ჯგუფი. 18. IX. ოკლენდი („რანფფერლის ფარის" მფლობელი) 6 (2ს) ვაიკატო (ჩემპიონი) 17 (ლ, 3ს), ა); ველინგტონი 39 ჩრდილოეთი ნავსაყუდელი 6; კენტბერი 48 ტარანაკი 31. კლასიფიკაცია: ვაიკატო (22 ქულა), ოკლენდი (21), ჩრდ. ნავსაყუდელი (20), ოტაგო და ველინგტონი (19-19)...

სიდნეის პირველობა. 18. IX. გორდონი 23 ვორინგა 19. ჩემპიონი გორდონი გახდა

სამხრეთი აფრიკის პროვინციათა „ლომის თასის" ფინალი. 18. IX. ტრანსვაალი 20 (ლ, 5ს) ნატალი 11 (ლ, 2ს)

ჩოგბურთი

რუმინეთის ღია ჩემპიონატი. ბუქარესტი. 14-19 IX. საპრიზო ფონდი 500 ათასი დოლარი. ფინალი: გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, განთესვის ნომერი 1) — ანდრეი ჩერკასოვი (რუსეთი, 8) 6:2, 7:5. ჩერკასოვმა დაამარცხა ანდრეა გაუდენციი (იტალია) 6:4, 3:6, 6:1, რომელმაც აშშ-ის ღია პირველობის ფინალისტს სედრიკ პიოლინს (საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:2 მოუგო

საერთაშორისო შეჯიბრება. ბორდო (საფრანგეთი). 14-19 IX. საპრიზო ფონდი 355 ათასი დოლარი. ფინალი: სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 1, მსოფლიოს IV ჩოგანი) — დიეგო ნარჯიზო (იტალია) 7:5, 6:2. ბრუგერამ მეთერთმეტე ტიტული მოიგო. ნარჯიზომ მოუგო მარკ როსეს (შვეიცარია, 2) 6:3, 6:4

ავტორგბოლა

„ინდიკარის" ჩემპიონატის ბოლოსწინა, XV ეტაპი. ნაზარეთის 200-მილიანი წრიული ტრასა, პენსილვანია, აშშ. შაბათი, 18 IX. შესარჩევი რბოლა. 1. ნაიჯელ მენსელი (ბრიტანეთი, „ნიუმენ-ჰაასი"); 2. ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია, „პენსკე-შევროლე"); 3. რაულ ბესელი. კვირა, 19 IX. ძირითადი რბოლა. 1. მენსელი; 2. სკოტ ფედიარი (კანადა, „ფორდ-კოსუორტი"),... 5. ფიტიპალდი. 40 წლის მენსელმა მეხუთედ მოიგო რბოლა, ფიტიპალდის საერთო ჩათვლაში 25 ქულით გაუსწრო და დეპიუტის წელს ვადამდე გახდა ჩემპიონი, რისთვისაც მილიონი დოლარი დაიმსახურა

მძლეოსნობა

შაბათი, 18 IX. საერთაშორისო შეჯიბრება. ფუკუოკა (იაპონია). ვაუები. 100 მ: 1. ლ.კრისტი (ბრიტანეთი) 10,06; 2. ა.კეისონი (აშშ); 3. დ.მიტჩელი (აშშ). 200 მ: 1. მ.ჯონსონი (აშშ) 20,19; 2. ფ.ფრედერიქსი (ნამიბია) 20,22; 3. ჯ.რიჯისი (ბრიტანეთი) 20,42. 400 მ: 1. ბ.რეინოლდსი (აშშ) 45,15; 2. ქ.ჯოტსი (აშშ); 1500მ: 1. აბდი ბილუ (სომალი) 3.39,73. 5000მ: 1. ხ.გებრესილასე (ეთიოპია) 13.30,91. 110მ თარჯრბენი: 1. კ.ჯაქსონი (ბრიტანეთი) 13,14. 400მ თარჯრბენი: 1. ს.მატტეუ (ზამბია) 48,84. სიგრძეზე ხტომა: 1. მ.პაული (აშშ) 8,31. სიმაღლეზე: 1. ხ.სოტომაიორი (კუბა) 2,35. ჭოკით: 1. ს.ბუბკა (უკრაინა) 6,08. შუბის ტყორცნა: 1. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) 86,80; ქალები. 100მ: 1. ი.პრივალოვა (რუსეთი) 11,10. 100 მ თარჯრბენი: 1. მ.ფრიმენი (იამაიკა) 12,99. 400 მ თარჯრბენი: 1. ს.გაბელი (ბრიტანეთი) 54,81

კვირა, 19 IX. სტაიერთა საშინაო შეჯიბრება. ამაგასაკი (იაპონია). 20 კმ (არასტანდარტული დისტანცია) ქალები. იტუმო მაკიმ 1:06.48,8 გაირბინა და 7 წამით გააუმჯობესა როზა მოტას (პორტუგალია) 1983 წლის მსოფლიო მიღწევა

გოლური ბურთაგება

კვირა, 19 IX. სრულიად ინგლისის ფინალი. „კროუკ პარკი", დუბლინი. 64 500 დამსწრე. დერი (ოლსტერი) 1 გოლი და 14 ქულა (17) კორკი (მუნსტერი) 2 გოლი და 8 ქულა (14). დერიმ პირველად მოიგო ჩემპიონობა

ფრენბურთი

კარიბეთის ჩემპიონატი. პორტ-ოფ-სპეინი, ტრინიდადი-ტობაგო. პარასკევი, 17 IX. ფინალები. ქალები: ბარბადოსი — ბაჰამა (შარშანდელი ჩემპიონი) 3:2. ვაუები: ბარბადოსი (შარშანდელი ჩემპიონი) — იამაიკა 3:1

კრიკეტი

სამხრეთი აფრიკის ტურნე შრი-ლანკაზე. მესამე, ბოლო ტესტი. კოლომბო. პირველი შესვლა: სამხრეთი აფრიკა 316-ყველა. ხუთშაბათი, 16 IX. მესამე დღე. შრი-ლანკა (პირველი შესვლა) 245-5 (73 წყებაში); ფილიკარატნა და ჯამასურია თამაშობდნენ ზოლზე შებინდებისას. პარასკევი, 17 IX. უქმე დღე. შაბათი, 18 IX. მეოთხე დღე. შრი-ლანკა (პირველი შესვლა) 296-9; შესვლა ნასადილებს ვადამდე დამთავრდა. შულცმა 63 გარბენის ფასად 5 ტაფელოსანი გაუგდოთ. პირველი შესვლის შედეგად სამხრეთი აფრიკა 20 გარბენით დანინაურდა. მეორე შესვლა: სამხრეთი აფრიკა 62-2 (ნასადილევს), 159-4 (დღის ბოლოს): ვესელსი (კაპიტანი) 7, ჰადსონი 28, კოლინენი, როუდსი 19 გავარდნენ; კრონიე (ვიცე-კაპიტანი) 73 ზოლზე თამაშობდა. კვირა, 19 IX. მეხუთე დღე. წვიმის გამო სადილის წინ თამაში ჩაშლილად და უშედეგოდ დამთავრებულად გამოცხადდა. ტესტ-სერია სამხრეთმა აფრიკამ 1-0 მოიგო (ორი ტესტიც უშედეგოდ დამთავრდა)

საჯილდაო

ცხრა კვირის განმავლობაში
ცხრა-ცხრა შეკითხვა სპორტის
ცხრა სახეობის შესახებ

? ?

კითხვები წრეობრივად გართულდება. პირველი წრის კითხვები უმარტივესი იყო და თითოს გამოცნობა თითო ქულად შეფასდა, მეორე წრის კითხვების გამოცნობა — ორ-ორ ქულად, მესამისა — სამ-სამად და ა.შ.

ერთი სიტყვით, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

მეხუთე წრე

(1) ჯესი ოუენსმა და კარლ ლუისმა თითო ოლიმპიადაზე მძლეოსნობის ერთსა და იმავე სახეობებში ოთხ-ოთხი „ოქრო" მოიგეს. როდის? რომელ სახეობებში?
(2) ფრენბურთში რით განსხვავდება გადამწყვეტი, მეხუთე ხელი წინათაგან?
(3) რომელ საბჭოთა რესპუბლიკებს წარმოადგენდა ჩოგბურთელი თომას ლეიუსი?
(4) ვინ იყო ქალ მოჭადრაკეთა შორის პირველი მსოფლიოს ჩემპიონი? სად დაიბადა? ვისი სახელით ასპარეზობდა? რა ერისა იყო?
(5) 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის გუნდურ ჩათვლაში რომელმა ქვეყანამ დაიკავა მეორე ადგილი? რამდენი „ოქრო" მოიგო? ვინ მართავდა ამ ქვეყანას? რომელმა ზესახელმწიფომ ასპარეზი პირველად?
(6) საბჭოეთის ვაუ კალათბურთელთა გუნდებიდან პირველმა ვინ მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი? როდის? სულ რამდენჯერ გაიმარჯვა? ვინ წვრთნიდა გუნდს?
(7) რომელი სახეობები შედიან თანამედროვე ხუთჭიდში?
(8) რომელი ქვეყნის რომელ ფეხბურთელს უასპარეზია ხუთი მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითს სტადიაზე? რომელ წლებში? რა ადგილზე თამაშობდა?
(9) ვინაა ერთსა და იმავე დროს საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი?

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «ლომბარდი»

ერთი სიტყვით, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი, ჯიქიას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი MB Commercial Bank მინაგობანკი MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა" ოფისი № 305 ტელეფონი: 369 096, 369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

ლიგა ჩვენშიაც შემოიჭრა

ორი კვირა არცაა, რაც გაზეთ „ახალ ქუთაისში“ დაიბეჭდა ერთი საგულისხმო წერილი — საგულისხმო იმდენად, რამდენადაც იგი ჩვენში სპორტის ახალი სახეობის — ლიგის რაგბის დანერგვას მოწმობს. ახალი თამაშის საწინააღმდეგო, აბა, ვის რა უნდა გვქონდეს, მაგრამ ლიგის რაგბის შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარადაა. წინა „სარბიელის“ „უცხო ხილის“ წამკითხველი იოლად მიხვდება ჩვენს გულისტკივილს: ლიგის რაგბის გუნდი კი შეგვემატა, მაგრამ ჩვეულებრივისა დავკარგეთ. ერთი სიტყვით, ისევე, როგორც ყველა გამორჩეულ მოვლენას, საქართველოში ლიგის რაგბის შემოსვლასაც ორი მხარე პქონია.

ვიდრე შექმნილ ვითარებას ავწონ-დავწონიდეთ, მოდით, ჯერ ინფორმაციის პირველწყაროს გავეცნოთ. მასში ოდენ ზოგიერთი ლაფსუსი ჩაჯახნორეთ და ტექსტიც ოდნავ შევკვეცეთ.

„ერქვანი“ ახალ ამპლუაში?

25-28 აგვისტოს მოსკოვის ოლქის ქალაქ ელექტროუგოლში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი რაგბში 7:7-ზე, „რაგბი-13“-ის წესებით; ამ შეჯიბრებაზე მიწვეული იყო ჩვენი ქალაქის მორაგბეთა გუნდი „ერქვანი“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამოყვარულო რაგბისაგან განსხვავებით (რაგბი-15), პროფესიული რაგბის (რაგბი-13) თამაშებში მკვეთრად განსხვავებული წესებია. ეს სახეობა კარგახანია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია ფეხმოკიდებული, არსებობს კიდეც პროფესიული ლიგა, ხოლო მოსკოვში 3-4 წლის წინათ დაიდო შტაბ-ბინა ერთაშორისმა ლიგამ. (რომელსაც სათავეში უდგას წარსულში ცნობილი რაგბისტი (რაგბი 15-დან) და მწვრთნელი ალექსანდრე კოლიკოვი და რომლის ეგიდითაც ტარდება ჩემპიონატები. შექმნილია ერთაშორისი ლიგის ნაკრებიც, მან რამდენიმე მატჩიც გამართა ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში.

ერთი სიტყვით, ასეთი რანგის მორაგბეებთან ჩვენი მოყვარულების შებმა ერთობ პრესტიჟულად გვესახება და არცაა გასაკვირი, რომ ჩვენი ქალაქის გუნდი 15 კაცის შემადგენლობით (მოთამაშეები — შვანგირაძე, ჩირგაძე, გაბიძაშვილი, თხელიძე, კუპრაშვილი, მაღლაკელიძე, მაჩიტიძე, ჟორჟოლიანი, თედოშვილი, ჯანაშია, შანიძე, მთავარი მწვრთნელი სვანიძე, მწვრთნელი ნიჭაბაძე, გუნდის უფროსი იობიძე, სპროტკლუბ „ერქვანის“ ვიცე-პრეზიდენტი ყაჟეიშვილი) მისთვის სრულიად უცხო სამყაროში მოხვდა. ჩვენებს ხომ მხოლოდ ლიტერატურაში ჰქონდათ ამოკითხული ამ თამაშის წესები, პრაქტიკულად კი იქ უნდა დაემტკიცებინათ, რისი შემძლენიც იყვნენ. გუნდის ხელმძღვანელთა თხოვნით ორგანიზატორებმა მათ შეღავათი გაუკეთეს და ჩვენ მორაგბეები თამაშებში ორი ტურის შემდეგ ჩართეს. როგორც სპეციალისტებმა ჩათვალეს, მოხდა სენსაცია. „ერქვანმა“ პირველსავე მატჩში სძლია მოსკოვის ჩემპიონ „ინკასს“ (8:6). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეში სამი მატჩის ჩატარება უწევდა თითოეულ გუნდს, რაც, რასაკვირველია, მეტად მომქანცველი იყო, საბოლოოდ ქუთაისელებმა 4 თამაში მოიგეს, 3 წააგეს და ცხრა გუნდში IV-V ადგილები გაიყვეს, რაც ახალბედებისათვის უდავოდ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია მათი დაინტერესება პროფესიული რაგბით, რ. სვანიძემ უპასუხა — ჯერ ერთი, ეს არის ვაჟკაცური სპორტის სახეობა, რაც ჩვენს ბიჭებს ძალიან მოსწონთ, მიუხედავად მთელი რიგი სირთულეებისა და, კერძოდ, იმისა, რომ თამაში მიდის ერთი ამოსუნთქვით, ყოველგვარი პაუზის გარეშე, რაც, ადვილი წარმოსადგენია, როგორ ძალას, ენერგიას, სისწრაფეს, ნერვებს მოითხოვს, და ეს გრძელდება მთელი 80 წუთის განმავლობაში. რა თქმა უნდა, ჩვენ ჯერჯერობით ამ დონისაგან შედარებით შორსა ვართ, მაგრამ ის, რაც გუნდმა შეძლო მოსკოვის ტურნირზე, გვაძლევს უფლებას უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებსაც შევეჭიდოთ; შემდეგი ასპექტი ამ ლიგით დაინტერესებისა ისაა, რომ აქაური კალენდარი უფრო მყარია, ქმნის საერთაშორისო სარბიელზე გასვლისა და საკუთარი შესაძლებლობების სრულიად გამოვლენის დიდ პერსპექტივას. რა დასამალია, ბოლო ორი წლის მანძილზე უხვიროდ შედგენილი კალენდრის გამო მხოლოდ 4-5 თამაში თუ გვაქვს ჩატარებული ოფიციალურად რესპუბლიკის პირველობაზე, დანარჩენ დროს ვარჯიშებს ვანდომებთ.

არ ხერხდება მორაგბეთა დონის შეფასება. არადა, ვთვლი, რომ „ერქვანი“ პერსპექტიული გუნდია, რომელსაც შესწევს უნარი ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში მაღალი შედეგები მოიპოვოს. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ უპრიანი იქნება მომავალი წლიდან ჩვენმა გუნდმა იასპარეზოს „რაგბი-13-ის“ ერთაშორის ლიგაში. მასში შედიან რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, მოლდოვასა და სხვათა (სულ 16) გუნდები. მოსალოდნელია, რომ მალე ამ ლიგის გათამაშებაში ჩაერთვებიან რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხეთის, იაპონიისა და სხვა გუნდებიც.

ვფიქრობთ, უახლოეს ხანაში შეიქმნება „რაგბი-13-ის“ საქართველოს რესპუბლიკური ფედერაცია, რომლის შტაბ-ბინა ქუთაისში დამკვიდრდება. ამას მოჰყვება საქართველოს ჩემპიონატი ამ სახეობაში, ხოლო „ერქვანის“ რაგბისტები, რაც უნდა ხმამაღლა ნათქვამად მოგვეჩვენოს, რესპუბლიკის ნაკრების დონეზე ვიწყებთ მზადებას რაგბი-13-ში 1.995 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ალბათ ამ საქმეში ბევრი მიმდევარი აღმოგვაჩნდება და არა მარტო „ერქვანი“, არამედ მთელი რესპუბლიკა ჩაერთვება მსოფლიო პირველობის სამზადისში.

ახლა ჯერი ჩვენზეა; ვფიქრობთ, ეს ხელსაყრელი მომენტი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და ქალაქის სახელი შორს გავიტანოთ. ეს საშური საქმეა, მით უფრო, რომ 1995 წელი ქუთაისის ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქად გამოცხადების 1000 წლისთავის აღსანიშნავი წელია.

ირაკლი თალაკვაძე

გაზეთი „ახალი ქუთაისი“, 8.09.1993

როგორც ხედავთ, ქუთათურებს სერიოზული განზრახვა პქონიათ, რასაც, რაღა თქმა უნდა, ვერას აკლებს ერთი-ორი მიამიტური მოსაზრება: მაგალითად ისა, რომ მთელი რესპუბლიკა ჩაებმება ლიგის რაგბის მსოფლიო ჩემპიონატისათვის სამზადისში, ანაც ერთიანი საქართველოს ათასწლოვან იუბილეს ლიგის რაგბის მეშვეობით მსოფლიოც რომ გაიზიარებს.

დამაფიქრებელია „ერქვანის“ განზრახვაც, ვიდრე ჩვენში მეტოქე გამოუჩნდებოდეს და შინაური ლიგა შეიქმნებოდეს, მანამდე „ერთაშორის ლიგაში“ ჩაეწეროს. ერთი, რომ უცხოტომელთა იმედად ყოფნა ულამაზოა. მეორეც, „ერქვანის“ საქციელი არასასურველ პრეცედენტს შექმნის და ვინ იცის, კიდევ რომელი სახეობის წარმომადგენლებს გაუღვიძებს დიდ რუსეთში ხშირ-ხშირად მოგზაურობის სურვილს. და მესამეც, ისედაც გამცირერიცხოვნებული ქუთაისური სარაგბო თემის ასეთ დროს მიტოვება არა გვგონია, სანაქებო საქციელი იყვეს.

მართლაც, კარგადაა ცნობილი, რომ წლევანდელი აპრილის შემდეგ იმერში რაგბი აღარ თუ ვეღარ გამართულა. ლიგაში „ერქვანის“ გადასვლის შემდეგ იმის იმედი, რომ ქუთაისში რაგბს კიდევ ითამაშებენ, კიდევ უფრო შემცირდა, რაკიღა „აიას“ მეტოქე ფაქტიურად აღარავინ რჩება. ხოლო რაც შეეხება რუსეთში, ან იქნებ უფრო შორსაც სათამაშოდ წასვლის სურვილს, „ერქვანს“ უთუოდ უნდა მოეხსენებოდეს, რომ წელს თბილისელები უკვე ყოფილან ტაშკენტში, როსტოვში, ანაპასა თუ კუალა-ლუმპურში, შარშან კი „კავკასიის ბირჟის“ გუნდი „ამირანი“ რუსეთის პირველობის მეორე ჯგუფშიც ასპარეზობდა — ტურების სათამაშოდ კავკასიონს გადაღმა მიემგზავრებოდა ხოლმე:

„ამირანის“ მოგზაურობებს ქართული რაგბისთვის არა დაუშავებია რა. რაც შეეხება „ერქვანის“ მოსალოდნელ ვოიაჟებს, იმის გამო, რომ რაგბის კავშირს ხელიდან მთელი გუნდი ეცლება, და კიდევ იმის გამო, რომ არავინ იცის, თუ "ერქვანი“ ან მისი მიმბაძველები კიდევ რამდენ მორაგბეს გადაიბირებენ თავიანთ ლიგაში, პერსპექტივაში ქართული რაგბის დაქცევა შეუძლიათ.

მაინც ვის ეკედლება „ერქვანი“? ჯერ კიდევ 1989 წელს, სსრკ სპორტსახკომის რაგბის სახელმწიფო მწვრთნელი და იმავდროულად სსრკ ნაკრების მწვრთნელი, მოსკოველი ედგარ თათურიანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საბჭოთა რაგბში დარჩენით ვერ იხეირებდა: ერთი, რომ საშინაო ასპარეზზე ვერაფრით აჯობა ქუთაისის გუნდს; და მეორეც, ვერც უცხოეთში გააღწია გემოზე, რადგანაც სსრკ რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ) შესვლას არ აპირებდა იქ სამხრეთაფრიკელთა პარპაშის მომიზეზებით.

ჰოდა, თათურიანმა არც აცია, არც აცხელა, მოსკოველ არტურ თათევოსიანს შეეკრა და 1990 წლის იანვარში შექმნა სსრკ რაგბის ლიგა, რომლის პრეზიდენტადაც კოსმონავტი პოპოვი მოიწვია. მაშინვე შეიკრიბა პირველი ძლიერი გუნდი — „მოსკოველი ჯადოქრები“.

თათურიანმა მალე ლიგაც შეაკოწინა, გადაიბირა რა ტირასპოლის, ყაზანისა და ლენინგრადის გუნდები. გაჩაღდა შეჯიბრებები, რომლებშიც მოსკოველთა და ტირასპოლელთა გარდა „სანკტ-პეტერბურგელი ლომები“, ბაიკანურის „ბაიკანური“ და „ალმა-ათის აფთრებიც“ ჩაებნენ, ლიგის ნაკრებმა კი ინგლისში, საფრანგეთსა და სამხრეთ აფრიკაში იმოგზაურა. გადაბირეს მსაჯებიც, მათ შორის „რაგბის ლატიშევ-ცაპოვეცკიიუშკა“ ვალერი მასლოვი, რომელიც დღესდღეობით ევრაზიის რაგბის ლიგის გენერალური დირექტორია.

დიახ, სსრკ-ის დაშლის შემდეგ საკავშირო ლიგა ევრაზიისად გადაკეთდა და დღესაც სეპარატისტთა — დნესტრისპირეთისა და თათარსტანის მორაგბეთა თავშესაფრად რჩება, თუმცაკი ლიგა ყოველნაირად ცდილობს, პოლიტიკაში არ ჩაერიოს. უთუოდ ევრაზიის ლიგას გულისხმობს ქუთაისის გაზეთი, „ერთაშორის ლიგას“ როცა ახსენებს.

ლიგამ საქართველოში შემოჭრა ჯერ კიდევ შექმნამდე სცადა — დამფუძნებელ ყრილობაზე მიწვევა ჩვენს სპორტკომიტეტშიც მიიღეს. ერთი პირობა ქართული სპორტის მამებს ჭკუაში დაუჯდათ ახალ წამონყებაში მონაწილეობა, მაგრამ მორაგბეებმა ვითარება განუმარტეს და ლიგაში მონაწილეობის იდეაც დასამარდა, თუმცაკი 1990 წლის იანვარში თითო თბილისური გუნდი, მსაჯი და სარაგბო გაერთიანება ფიქრობდა დამფუძნებელ ყრილობაზე დასწრებას.

1991 წლის გაზაფხულზე პირველი ქართველი ლიგელი მაინც გამოჩნდა — ხვიჩა კაშია, ვისაც მანამდე „ელმავალში“, „აიასა“ და მოსკოვის „ლოკომოტივში“ ეთამაშა, ლიგის ერთ-ერთ მოსკოვურ გუნდში ჩაეწერა. კაშია იმავნლის შემოდგომაზე ჩოხატაურის „ჯაბში“ დაბრუნდა, ლიგაში გადასვლის გამო მისი დისკვალიფიკაცია კი არავის გახსენებია.

მერე შარშან დაირხა ხმები, საფრანგეთის ლიგის ემისრები საქართველოს რაგბის კავშირს (საიდან სადაო?) ეწვივნენო, მაგრამ საბოლოოდ წელსღა გაფორმდა პირველი ქართული გუნდის ლიგის რაგბში გადასვლა.

საინტერესოა, რას მოიმოქმედებს ამის საპასუხოდ რაგბის კავშირი? ირბ-ის მოყვარულობის კანონთა 2.3-2.7 მუხლების თანახმად კლუბი კავშირიდან უნდა გაირიცხოს, სტატიაში ჩამოთვლილ ყველა პიროვნებას კი რაგბში მოღვაწეობა აეკრძალოს. კავშირი ალბათ მალე მიიღებს ამ უსიამო გადაწყვეტილებას, მაგრამ საკითხავი ისაა, რა ბედი ეწევა „მაიოთის“ ორ ბურთს, კავშირმა ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული ფონდიდან „ერქვანს“ რომ უნილადა? ანდა ამიერიდან ვისი — კავშირისა თუ ლიგის წესებით გაიმართება „ბუღას თასი“ — ალბერტ ნაცვლიშვილის მოსაგონარი შეჯიბრება, წელს ესოდენი რიხით რომ დაანესა „ერქვანმა“?

ზაალ გიგინეიშვილი

ქუთაისის „ერქვანი“

ქართულმა სარაგბო საზოგადოებრიობამ და იმერის რეგიონულმა გაერთიანებამ მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს. ამა წლის აგვისტოს ბოლოს ლიგის რაგბში გადასვლის გამო მათს რიგებს გამოაკლდა კოლორატული კლუბი, საქართველოს ორგზის ჩემპიონი, მრავალი ცნობილი მორაგბის დიდ სარბიელზე გამომყვანი ქუთაისის „ერქვანი“.

„ერქვანი“, რომელიც დღენადაგ ქალაქის მეორე გუნდად ითვლებოდა, 1979 წელს ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა, შემდეგ კი არაერთხელ გამოიცვალა პატრონი. 1982 წელს მას „ქუთბარიტი“ ერქვა, მერე — „ქუთაისი-2“, „აისი“, „ბელათი“, 1992 წლიდან კი — ამჟამინდელი სახელი. გუნდს ერთთავად ქუთაისური რაგბის პირველი მერცხალი რამაზ სვანიძე თავკაცობდა, მეორე მწვრთნელები და თანაშემწენი კი სხვადასხვა ჰყოლია.

„ერქვანი“ თვითმყოფადი სტილითა და შეუპოვრობით გამოირჩეოდა. ეხერხებოდა ძალისმიერი თამაში და დამრტყმელებიც კარგი ჰყავდა. შემთხვევითი რიდია, რომ გუნდმა ორჯერ — 1986 და 1989 წლებში საქართველოს პირველობა სტუმრად, თბილისში მოიგო. მართალია, ამ შეჯიბრებებში უძლიერესი ქართული გუნდები არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ეს ფაქტორი ოდნავაც ვერ აკნინებს ქუთაისელთა მიღწევას.

ქუთათურები ახალ-ახალ მფარველთა გარდა ერთთავად ახალი სარბიელის ძიებაშიც იყვნენ. მას შემდეგ, რაც მეორედ მოიგო შინაური ტიტული, გუნდი ყველასთვის მოულოდნელად სსრკ პირველობის ქვედა ჯგუფშიც ჩაეწერა, სადაც ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამოისობით ოდენ ერთი სეზონი დაჰყო.

ქართული რაგბის საბჭოურიდან გამოყოფის შემდეგ „ერქვანი“ ეროვნულ ჩემპიონატში ჩაება და ამ შეჯიბრების ავტორიტეტის განმტკიცებისთვის ძალღონე არ დაუშურებია. 1991 წლის ზაფხულში „ელათმა“ მესამე ადგილიც კი დაიჭირა. მაგრამ შემდეგი სეზონიდან უბენინობამ შეჯიბრებისმოყვარე გუნდს სამოგზაურო არეალი მანამდე არნახულად დაუვწროვა და ოდენ იმერეთით შემოუფარგლა, წლეულს მაისიდან კი გუნდი ერთიანად უთამაშებლად დარჩა.

ერქვანელები მტკივნეულად განიცდიდნენ ქართული რაგბის შინაშლილობას და ერთთავად მისი გამთლიანებისათვის შუშაკობდნენ. სწორედ ამან და თამაშის დაუოკებელმა წყურვილმა, აგრეთვე საერთაშორისო კანონმდებლობის არცოდნამ და იქნებ ვითარების გამოუკალკულირებლობის შეგრძნებამაც გადაადგმევინა კლუბს ის საბედისწერო ნაბიჯი, რომლის შემდეგაც ქართულმა რაგბმა ერთი უერთგულესი, თავდაბალი და უპრეტენზიო გუნდი მოისაკლისა.

ოკლენდმა «ფარი» დაკარგა

შაბათს გადატრიალება მოხდა ახალზელანდიურ რაგბში. ოკლენდმა, ვინაც 1985 წელს „რანფერლის ფარი“ კენტერბრის ჩამოართვა, 8 წლისა და 4 დღის მანძილზე 61-ჯერ წარმატებით დაცვის შემდეგ ბოლოსდაბოლოს წააგო და გარდამავალი ჯილდო დაკარგა.

ოკლენდს შარშანდელი ჩემპიონი ვაიკატო მოერია — 17:6. თამაში დიდებული გამოდგა და დონით ეროვნულ ნაკრებთა ბევრ თამაშსაც აღემატებოდა. ვაიკატოს შერკინების წინა ორმა ხაზმა ოკლენდი გვარიანად დათეთქვა, მაგრამ მატჩის ბოლომდე მაინც ვერავინ იტყოდა, ვინ გაიმარჯვებდა. ვაიკატოდან სამი საჯარიმო მცველმა მეთიუ კუპერმა შეაგდო, ათმა ნომერმა იენ ფოსტერმა კი თითო ლელო და არეკნი გაიტანა. ოკლენდელთა „მანქანამ“ — გრანტ ფოქსმა ორი საჯარიმო კი შეაგდო, მაგრამ თამაშის ბოლოს 22 მეტრიდან კარს ააცილა.

„ფარის“ ახალი მფლობელი დებულების თანახმად შინ გასამართ პირველსავე თამაშში დაიცავს მონაპოვარს, ეს თამაში კი კვირას, ვაიკატოს ბინაზე, ჰემილტონის „რაგბი პარკზე“ გაიმართება. ვაიკატო ოტაგოს უმასპინძლებს.

ჩემპიონი შეიცვალა ავსტრალიის უპირველეს სარაგბო ქალაქ სიდნეიშიც. წინა შაბათს დევიდ კემპბის „რენდვიკმა“ ვერ მოუგო „ვორინგას“ და ზედიზედ 16-ჯერ პირველობის შემდეგ ტიტული დაკარგა. ამ შაბათს კი „ვორინგა“ „გორდონმა“ დაამარცხა 23:19 და 1976 წლის შემდეგ პირველად გახდა ჩემპიონი.

შაბათს იოპანესბურგის „ელის პარკზე“ უღიმღამოდ ჩაიარა „ლომის თასის“ ფინალმა ტრანსვაალსა და ნატალს შორის. მასპინძლებს მცველ გევინ ჯონსონის მიერ გატანილმა ხუთმა საჯარიმომ გაამარჯვებინა — 20:11. ნატალიდან ორი საჯარიმო ჟოელ სტრანსკიმ (10) შეაგდო. მანვე წამოინყო იერიში 38-ე წუთზე, რომელიც ფანდერვესტპაიზენმა, ჟუბერმა და სმოლმა გააგრძელეს. სმოლმა ლელო გაიტანა, მაგრამ შესვენების შემდეგ დაშავდა. 67-ე წუთზე ტრანსვაალმა 8 ნომრის — რუდოლფ სტროიელის შეტევის შემდეგ მარცხენა ფრთაზე გადამწყვეტი ლელო გაიტანა — თავი პიიტერ ჰენდრიკსმა გამოიჩინა — და თასი მოიგო. ახლა იგივე გუნდები 16 ოქტომბერს უმთავრესი შეჯიბრების — „ქარრის თასის“ ფინალშიც ითამაშებენ.

ფესით სიდნეიმ უნდა მოიგოს

სიდნეური დაისი ოპერის თეატრის ფონზე

საბურთაო სტადიონი

ხუთშაბათს, 23 სექტემბერს მოუთმენლად მოელის სპორტული სამყარო. ამ დღეს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) მონტე-კარლოს სხდომაზე უნდა გამოაცხადოს, თუ ვის მიანიჭებს 2000 წლისთვის XXVII ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებას.

კანდიდატი ხუთია: ბერლინი (გერმანია), მანჩესტერი (ინგლისი), პეკინი (ჩინეთი), სიდნეი (ავსტრალია), სტამბოლი (თურქეთი). თუ ვის აირჩევს სოკ-ი, შემდეგ „სარბიელში" ალბათ გაცნობებთ, დღეს კი მასპინძელ ქალაქთა ღირსება-ნაკლოვანებებისა და ბოლოდროინდელ სიახლეთა მიმოხილვა ვიკმაროთ.

იყო დრო, ოლიმპიზმი ლამის იყო ჩიხში მოექცა: 1968 წელს მექიკოში გახსნას პოლიტიკური დემონსტრაცია დაამთხვიეს, რასაც გვარიანი მსხვერპლიც მოყვა.

1972 წელს მიუნხენში პალესტინელმა ტერორისტებმა ისრაელის დელეგაციას თერთმეტი კაცი მოუკლეს, რამაც ოლიმპიადა კინაღამ ჩაშალა.

1976 წელს მონრეალში პროგრესულმა საზოგადოებრიობამ ერთი ამბავი ატეხა, ახალზელანდიელი მორაგბეები სამხრეთაფრიკელებს რატომ ეთამაშებიანო, რასაც ბოლოს-დაბოლოს აფრიკის ზანგური ნაწილის მიერ თამაშების ბოიკოტი მოყვა.

1980 ნელს მოსკოვში ჯიმი კარტერმა ლეონიდ ბრეჟნევს კაპიტალისტური ქვეყნების სპორტსმენთა ლომის წილი მოასაკლისებინა.

1984 წელს ლოს-ანჯელესში კონსტანტინე ჩერნენკომ რეიგანს სამაგიერო გადაუხადა და სოციალისტური ბანაკი, ერთი-ორი ურჩის გამოკლებით, კალიფორნიაში არ გაუშვა.

მოახლოვდა 1988 წლის სეულის ოლიმპიადა და მსოფლიოში საგანგაშო ზარები დარისხეს, სოკ-ს ეს რა შეცდომა მოსვლია, ოლიმპიადის მასპინძლობა ოდიოზური სამხრეთი კორეისთვის რომ დაუკისრებიაო, რაკიღა, ერთის მხრივ, ყველამ კარგად უწყოდა, რომ დიქტატორულ კორეასთან მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდ ნაწილს დიპლომატიური ურთიერთობა არცა ჰქონდა, და მეორეც, ყველას კარგად ახსოვდა, 1983 წლის სექტემბერში რუსმა სამხედროებმა თუ როგორ ჩამოაგდეს საქრეანელი სამოქალაქო „ბოინგი".

ერთი სიტყვით, ისევე, როგორც ყოველთვის, დიდი სპორტი დიდ პოლიტიკურ ამბიციათა სამსახურში იდგა და ვერავინ იტყოდა, ოლიმპიადებს ია-ვარდებით მოფენილი სავალი გზა ექნებაო.

მსოფლიოსა და სპორტის საბედნიეროდ, მერე და მერე ყველაფერი შეიცვალა. გადამწყვეტი, ცხადია, ორ ბანაკად გახლეჩილი მსოფლიო თანამგეობრობის შერიგება იყო. ეს პროცესი სპორტშიც უმალ აისახა. სოკ-ის პრეზიდენტის, კატალონიელი ხუან-ანტონიო სამარანჩის მეცადინეობითა და შუამავლობით ოლიმპიური ოჯახი გამთლიანდა. სეულის ოლიმპიადას სულ რამდენიმე დამთხვეულმა — ჩრდილოეთმა კორეამ, კუბამ, ალბანეთმა, ეთიოპიამ და მათნაირებმაღა გამოუცხადეს ბოიკოტი; ხოლო რაც შეეხება სამარანჩის 1992 წლისეულ ბენეფისს მისსავე მშობლიურ ბარსელონაში, იქ, თუ არ გვეშლება, არათუ ბოიკოტის შემთხვევა, არამედ მცდელობაც კი არ აღნუსხულა.

სამარანჩმა სხვა მხრივაც გარდაქმნა ოლიმპიური მოძრაობა — სპორტსმენთა პროფესიონალიზმი შეანყნარებინა და თამაშები ყველასთვის ღიად გამოაცხადებინა — იმისდა მიუხედავად, სპორტს სახალისოდ მისდევს თუ ხელობად უქცევია და მისი შემნეობით მილიონებს იხვეჭს.

და კიდევ, სამარანჩმა ისეთი გასაქანი მისცა საზოგადოდ სპორტისა და კერძოდ ოლიმპიური თამაშების კომერციალიზაციას, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა მომგებიანი გახადა. არადა, კარგად გვახსოვს, რომ ბოლო ხანებში ყველა გაურბოდა ოლიმპიადის თავისთან ჩატარებას, რაკიღა კარგად უწყოდა მონრეალისა თუ მოსკოვის მაგალითები. აკი თავის დროზე ანეკდოტიც კი შეითხზა, სსრ კავშირის ისტორია სამ ხანად უნდა დაიყოსო: ოლიმპიადამდელ წლებად, ოლიმპიადის დღეებად და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდად.

ოლიმპიადის გამართვის პატივის დასაუნჯებლად ბრძოლა განსაკუთრებით თანამედროვე ოლიმპიზმის საუკუნოვანი იუბილეს თანმხვედრი ოლიმპიადისათვის მასპინძლის შერჩევისას გამწვავდა. ოლიმპიადების ფუძემდებელ ბერძნებს იმედი ჰქონდათ, რომ სოკ-ი 1996 წლისათვის მათ დააკისრებდათ თამაშების გამართვას, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. მსოფლიოს სპორტის ჭარკოტი; ხოლო რაც შეეხება სამარანჩის 1992 წლისეულ ბენეფისს მისსავე მშობლიურ ბარსელონაში, იქ, თუ არ გვეშლება, არათუ ბოიკოტის შემთხვევა, არამედ მცდელობაც კი არ აღნუსხულა.



მანჩესტერის მშენებარე ველოდრომი

კანდიდატურასაც მსხვილი ბიზნესი, მეტადრე კი „კოკა-კოლა" უმაგრებდა ზურგს.

ახლაც იგივეა მოსალოდნელი. საფიქრებელია, რომ სოკ-ი ისევ არად ჩააგდებს ემოციურ ფაქტორებს და არჩევანის გაკეთებისას უპირატესად ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მოსაზრებებს გაითვალისწინებს. თუ იმავე არგუმენტებს ჩვენც განვიხილავთ, მაშინ დავასკვნით, რომ 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის უპირველესი კანდიდატი სიდნეი უნდა იყოს, რაკიღა მას ნაკლი ფაქტიურად არა აქვს. რაც შეეხებათ დანარჩენ კანდიდატებს, მათ ხან რა პრობლემა გამოუჩნდებათ და ხარ — რა.

ბერლინით დავიწყოთ. ავადსახსენებელი კედლის დანგრევითა და ქვეყნის გამთლიანებით გამოწვეულმა ეიფორიამ კარგა ხანია განვლო და გერმანიაც არაერთი პრობლემის წინაშე დადგა: ყოფილი გდრ-ის მიწების ინტეგრაციას დიდი თანხები სჭირდება; აღმოსავლეთელი ბოგანოებიც ძნელად ეგუებიან იმ ცხოვრების წესს, რომლის გადაჩვევასაც 45 წლის მანძილზე უპირებდნენ; ქვეყანაში ნეონაციზმმაც წამოყო თავი; იგი ერთობ მტრულადაა განწყობილი ყოველგვარი უცხოურის, მეტადრე კი აზიურ-აფრიკულის მიმართ: როგორც ჩანს, შერისხულთა როლში ებრაელები თურქებმა შეცვალეს. ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენელია, რომ სოკ-მა ოლიმპიადა ბერლინს მიართვას, მით უფრო, რომ 1936 წლის გებელსური ოლიმპიადა მწარე გაკვეთილია და არც ბოლოდროინდელი პროვოკაციების უგულებელყოფა ეგების: სულ ხუთი დღის წინ არ იყო, ოლიმპიადის მოწყობის მსურველი კომიტეტის შტაბ-ბინაში რამდენიმე ყუმბარა რომ აფეთქდა.

ბერლინივით გასაჭირი სულ არ აწუხებს სტამბულს. თბილისისა არ იყოს, სტამბოლიც ცნობილი ყოფილა რჯულშემწყნარებლობით — ოდინდელ კონსტანტინეპოლში თურმე გვერდიგვერდ სიამტკბილობით ცხოვრობენ ქრისტიანები, მუსლიმები და იუდეველები. ხმელეთის ორი ნაწილის შესაყარზე მდებარე ქალაქი ძველისა და ახლის ორგანული ნაზავი ყოფილა, ათმილიონიანი მოსახლეობის ნახევარიც თურმე სულ ჭაბუკია, აზიაში დაწყებული მარათონის დამთავრება თურმე ევროპაში შეიძლება, მაგრამ დახეთ უბედურებას: დღესდღეობით ქალაქის ერთადერთი ბაზა ვარგებულა საოლიმპიადოდ; ეკოლოგიურადაც ცუდად ყოფილა საქმე — ჰაერი თურმე დაბინძურებულია, ქუჩებში ხშირია ავტოთა ხერგილები; ვერც ადამიანთა უფლებების დაცვის საქმე ყოფილა თურქეთში მთლად კარგად: „საერთაშორისო ამნისტიის" მონაცემებით მთელს ქვეყანაში თურმე ყოველდღიურად ხდება პოლიტიკური მკვლელობები. ერთი სიტყვით, ვერც სტამბოლის განაცხადი ყოფილა საფუძვლიანი.

ეკოლოგიური და ეთნიკური პრობლემები სამრეწველო მანჩესტერსაც აწუხებს. ამას ერთვის ისიც, რომ მოსახლეობის ნაწილს არ სურს ოლიმპიელთა ქალაქში შემოშვება. თუმცაკი მანჩესტერი მაინც ემზადება და დიდებულ ველოსტადიონსაც აშენებს.

ადამიანის უფლებების დაუცველობას ყველაზე უფრო ხშირად ჩინეთს უკიჟინებენ. ამ საკითხისათვის, ერთი პირობა, აშშ-ის კონგრესმაც მოიცალა და სოკ-ს მოუწოდა, ოლიმპიადის მასპინძლობა ქვეყნის დედაქალაქ პეკინს არ დააკისროს. ამერიკელი კონგრესმენები უწინარეს ყოვლისა ტიბეტელებსა და მათს სულიერ ლიდერს — დალაილამას ექომაგებიან.

ჩინელებს ამერიკელთა პოზიცია აშკარად აღიზიანებთ და დროდადრო თავგზასაც უბნევთ ხოლმე. ასე მაგალითად, პარასკევს პეკინში ოლიმპიადის მიმპატიჟებელი კომიტეტის თავკაცი ჟენ ბაი ფა აშშ-ს დაექადნა, თუ ჩვენს კრიტიკას თავს არ დაანებებთ, ჩინელ სპორტსმენებს ატლანტის ოლიმპიადაზე არ მოვავლენთო. უფროს კოლეგას მხარი აუბა კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე ვუ ჟონგ ვანმაც. რაც შეეხება სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტს და ჩინეთის ეოკ-ის თავმჯდომარეს პი შენ ლანგს, მისი აზრით ეს მუქარა მის გამომთქმელ პირთა აზრი უფროა, ვიდრე ოფიციალური პოზიციაო და თან ისიც დააყოლა, ყოველგვარი ბოიკოტი ძირშივე ეწინააღმდეგება ოლიმპიურ სულისკვეთებასო.

ახალი სამხრეთი უელსის დედაქალაქ სიდნეის არავინ აკრიტიკებს, არავინ ექადნება. იქ არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური, არც ეთნიკური და არც ეკოლოგიური პრობლემები არაა გადასაჭრელი. სიდნეი სპორტული ქალაქია და ულტრათანამედროვე ბაზებიც უამრავი აქვს, სიდნეის საბურთაო სტადიონი კი, ოპერის თეატრისა არ იყოს, ქალაქის მშვენებად ითვლება. ერთი სიტყვით, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხუთშაბათს ქალაქების კონკურსში გამარჯვება სიდნეის დარჩება.

ხუთშაბათსვე მოხდება მეორე მნიშვნელოვანი მოვლენაც: სოკ-ი უეჭველად დაამტკიცებს თავისი აღმასკომის პარასკევისეულ გადაწყვეტილებას, ოლიმპიადებზე დააბრუნოს პალესტინის დელეგაცია. ეს გადაწყვეტილება, მიხვდებოდით, პალესტინასა და ისრაელს შორის ერთი კვირის წინ ჩამოგდებულმა ზავმა განაპირობა.

მიხო ნინუა

აქეთური, იქითური

10 სექტემბერს ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოს რინგზე კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ეგიდით, 66 კგ-მდე წონითი კატეგორიის მსოფლიო ჩემპიონობის ბრძოლა გაიმართა: ამერიკელი პარნელ ვითეიკერი შეერკინა ლეგენდარულ მექსიკელს, **31** წლის ხულიო სეზარ ჩავესს, რამდენიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონს, ვისაც მანამდე წაუგებლად გაემართა **87** ბრძოლა. აღნიშნა ფრე, რომლის წყალობითაც ვითეიკერმა ტიტული შეინარჩუნა, მაგრამ გავიდა ხუთი დღე და ერთ-ერთმა მთვლელმა მსაჯმა აღიარა, ამერიკელს ქამარს ქვემოთ დარტყმისთვის რეფერის უკითხავად ქუდა დავაკელი, თორემ გაიმარჯვებდაო. ეს რომ გაიგო ჩემპიონის მენეჯერმა დან დუვერმა, ერთი ამბავი ატეხა და საბჭოს სასამართლოში ჩივილს დაექადნა.

*

ავსტრალიის მორაგბეთა ნაკრები „ვოლაბი" ოქტომბერში ტურნეზე მიემგზავრება კანადასა და საფრანგეთში. გუნდი ტრავმების გამო მოისაკლისებს ტონგელეყოფილ ფრთის მორკინალ ვილი ოფენგაუესა და მცველ ტომ კელეჰერს. სამაგიეროდ, გუნდის მწვრთნელმა ბობ დვაიერმა **30** კაცში ჩარიცხა **1960**-იანი წლების „ვოლაბების" გამოჩენილი ნახევარმცველის — კენ კეჩპოულის ვაჟი მარკი. ისიც გამოცხადდა, რომ გაისად, აგვისტოში, როცა სამოას გუნდი ხუთმატჩიან ტურნეს გამართავს ავსტრალიაში, ერთადერთი ტესტი სიდნეის საბურთაო სტადიონზე პროფეკტორების შუქზე გაიმართება. ასეთი რამ პირველად წლეულს, ივლისში სცადეს სამხრეთ აფრიკის გუნდის წინააღმდეგ თამაშის დროს და კიდეც გაუმართლათ.

*

ფორმულა **1**-ის ბელგიელი პილოტი ტიერი ბუტსენი, ვინაც ათეტაპიანი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ მიატოვა „ჯორდანის" გუნდი, გაისად ალბათ ნაჯელ მენსელის კვალად „ინდიკარში" გადავა. რაც შეეხება „ჯორდანს", მან იტალიის „გრან-პრიში" ბელგიელის ნაცვლად იტალიელი მარკო აპიჩელო გამოიყენა. ასევე ცნობილი გახდა, რომ „ინდიკარში" აპირებს დაბრუნებას მაიკლ ანდრეტი, ვისაც ამ კლასში **1983-92** წლებში **27** რბოლა მოუგია, წელს კი ფორმულა-**1**-ის **13** რბოლაში მხოლოდ **7** ჭეს მოაგროვა. ანდრეტი აღარ დაამთავრებს წლევანდელ სეზონს. „მაკლარენში" პორტუგალიის, იაპონიისა და ავსტრალიის „დიდი პრიზებისათვის" მას ფინელი მიკა ჰაკანენი შეცვლის. „ინდიკარის" პრესტიჟი განამტკიცა მენსელის შაბათინდელმა გადაწყვეტილებამ, კიდევ ორი წელი ირბოლოს „ნიუმენჰაასის" სახელით. არადა, ჭორები დადიოდა, გაისად ისევ ფორმულაში ბრუნდებაო.

*

პარასკევს ინგლისში იწყება აშშ-ისა და ევროპის ნაკრებთა საგოლფო შეხვედრა „რაიდერის თასისთვის". ევროპელთა გამარჯვების შანსები ერთი-ორად შეამცირა გერმანელი ბერჰარდ ლანგერის კისრის ტრავმამ, თუმცაკი ევროპელთა ბანაკი იმედოვნებს, რომ ლიდერი დროულად მომჯობინდება.

*

საეგებოა პარასკევიდან კვირამდე, ბურლენგეში, გერმანიის წინააღმდეგ დევისის თასის ნახევარფინალში შვედი ანდერს იარიდის თამაშიც. გუნდში ჭერჭერობით ხუთი მოთამაშეა: ედბერგი, ჰოლმი, გუსტაფსონი, იარიდი და ლარსონი.

*

ერთი კვირის წინ ჩინელმა მორბენალმა ქალებმა ოთხჯერ გაუმჯობესეს მსოფლიო რეკორდები, რასაც გაცხარებული მითქმა-მოთქმა მოყვა, უთუოდ დოპინგს იკეთებენო. ეჭვმიტანილებს სინჯები ფინიშისთანავე აუღეს. შაბათს ცნობილი გახდა, რომ ჩინელი მორბენალი ქალები უბიწონი ყოფილან.

*

ეტყობა ყატარი გახდება ახლო აღმოსავლეთის პირველი ქვეყანა, ვინც ფორმულა-**1**-ის ეტაპს დაითრევს. ნავთობით გამდიდრებულმა სპარსეთის ყურელებმა ავტომობილიზმის საერთაშორისო ფედერაციას (ფისა) აცნობეს, რომ **40** მილიონ დოლარს ჩამოდიან, თუკი „გრან-პრის" გამოუყოფენ. ტრასას მოწყობა დედაქალაქ დოჰას ახლოს დაუგეგმავთ. თუ ფისა ყაბულს იქნა, „ყატარის დიდი პრიზი" **1996** წელს გაიმართება.

აქეთური, იქითური

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით

ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი,
IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა

„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: ბია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)